პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 2 ივლისი, 1947 წ. № 131 (7915). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატებების მოპოვებისათვის. მოწინავე (1-ლი გვერდი).
მზადება რკინიგზელის სტალინური დღისათვის (1-ლი გვერდი).
ლ. სტურუა — მებრძოლი სტალინური გაზეთი (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება. ა. ნინუა — როცა კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის ზრუნავენ (მე-2 გვერდი).
სოფლის მთელი ძალები მოსავალი უდანაკარგოდ ავიღოთ! (მე-3 გვერდი).
სსრ კავშირის, საფრანგეთისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-3 და მე-4 გვერდი).

სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატებების მოპოვებისათვის

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად შარშან ჩვენმა რესპუბლიკამ სერიოზული წარმატებანი მოიპოვა მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. მთელმა რიგმა რაიონებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი წარმატებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები და უხვი მოსავლისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითები გვიჩვენეს. გაზეთ „კომუნისტის“ 28 ივნისის ნომერში ვიუწყებოდით, რომ 1946 წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სოციალისტური შეჯიბრების შედეგთა შემაჯამებელმა რესპუბლიკურმა კომისიამ გამარჯვებულად სცნო წითელწყაროს, მახარაძის, ხაშურისა და ქობულეთის რაიონები და დაადგინა გადაეცეთ მათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები. გარდა ამისა, კომისიის გადაწყვეტილებით წითელწყაროს, თელეთის, ზუგდიდისა და ქუთაისის მტს-ებს გადაეცემათ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშები, წინანდლის მევენახეობის, ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის, ოჩხამურის ჩაის, წალენჯიხის ჩაის და ფსირცხის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობებს კი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშები. რესპუბლიკურმა კომისიამ აღნიშნა გორის, გალის, ონის, ბათუმის, თბილისის, ამბროლაურის, ზუგდიდის, ახალქალაქის, კასპის, სიღნაღის, ყვარლის, ზესტაფონის, სტალინირის, ლაგოდეხის, თეთრი წყაროს, მარნეულის, ორჯონიკიძის, ცაგერის რაიონების და ფოთის კარგი მუშაობა 1946 წელს.

საპატიო ჯილდო — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები — მიიღეს მოწინავეთა შორის მოწინავე რაიონებმა. წითელწყაროს, მახარაძის, ხაშურისა და ქობულეთის რაიონებმა წარმატებას მიაღწიეს კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა დაუღალავი შრომით, პარტიული ორგანიზაციების კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობით. ყველა რაიონს შეუძლია გაუთანასწორდეს ამ რაიონებს, ჩადგეს მოწინავეთა რიგებში, მოიპოვოს საყოველთაო პატივისცემა. ამისათვის საჭიროა ბოლშევიკურად განვახორციელოთ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისადმი, სათავეში ჩავუდგეთ სოფლად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას, განუხრელად შევასრულოთ დიდი სტალინისათვის მიცემული სიტყვა.

წელს საგაზაფხულო თესვის ორგანიზებულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებამ, ნათესებისა და მრავალწლიანი ნარგავების მოვლის გადაჭრით გაუმჯობესებამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო სოციალისტური შეჯიბრების დიადი ძალა. მთელი რიგი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მტს-ები, ბრიგადები და რგოლები პატიოსნად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

მოვიყვანთ ორ მაგალითს.

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა დიდ სტალინს აღუთქვეს 205 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოჰკრიფონ 4.000 კილოგრამი ფოთოლი. ეს პირობა სრულდება. ორნახევარ თვეში ჰექტარზე აქ მიღებულია 2.000 კილოგრამამდე ჩაი. გალის რაიონის ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები დიდ სტალინს დაჰპირდნენ წელს 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოჰკრიფონ 4.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ამ პირობის შესრულებისათვის ენერგიული ბრძოლაა გაჩაღებული. კოლმეურნეებმა პლანტაციები დროულად და მაღალხარისხოვნად დაბარეს, გასხლეს, მინერალური სასუქით ნიადაგი გააპოხიერეს, სამჯერ გათოხნეს, და ჩაის ბუჩქიც უხვად იძლევა ფოთოლს. უეჭველია, ოქუმელები პირობას შეასრულებენ.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა მოსავლის უდანაკარგოდ აღება და პურის დამზადების გეგმის დროულად შესრულება. ამ ვალდებულების განაღდების დრო დადგა. ჩაღდება თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. დღითიდღე ფართოვდება მოსავლის აღების სამუშაოთა ფრონტი. ახალ-ახალი რაიონები, კოლმეურნეობები იწყებენ პურეულის მკას, ლეწვას, პირველი განალეწი მარცვლეულის სახელმწიფოსათვის ჩაბარებას. ბევრგან მოსავალი კარგია. საგარეჯოს რაიონის სართიჭალის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ 31 ცენტნერი ქერი აიღო. ყვარლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 80 ჰექტარზე საშუალოდ გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერის ნაცვლად აიღო 30 ცენტნერი ხორბალი. უკვე გამოჩნდნენ მოსავლის აღების მოწინავენი. წნორის მტს-ის კომბაინერმა ამხ. შ. ნაცვლიშვილმა ორ დღეში 30 ჰექტარზე აიღო პური, კომბაინერმა ამხ. ბოჭორიშვილმა 5 დღეში 60 ჰექტარზე, ასურეთის მტს-ის კომბაინერმა ამხ. დალაქიშვილმა 3,5 დღეში 51 ჰექტარზე. მაღალნაყოფიერი შრომის მსგავსი მაგალითები უამრავია.

მოსავლის აღებაში მთავარია სისწრაფე, ორგანიზებულობა, რათა არ დავაგვიანოთ, მარცვალი არ ჩაცვივდეს, მინდვრად არცერთი თავთავი არ დარჩეს აუკრეფავი. ამას ყველგან როდი ითვალისწინებენ. გურჯაანის რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებში შედგენილი არა აქვთ მოსავლის აღების კონკრეტული გეგმა. ალაგ-ალაგ პური მომწიფდა, მაგრამ მკის დაწყებას არ ჩქარობენ, ლეწვაც ჭიანურდება. მოუმზადებელი შეხვდა პურის დამზადებას „ზაგოტზერნოს“ წნორის მიმღები პუნქტი. აქ რემონტი დღემდე არ არის დამთავრებული. ეს აბრკოლებს პურის მიღებას. მარცვალთან ერთად ჰყრია საშენი მასალა—კირი, ცემენტი, აგური. მსგავსი ნაკლოვანებანი სხვა რაიონებსა და მიმღებ პუნქტებშიც არის.

აუცილებელია სასწრაფოდ გამოვასწოროთ მოსავლის აღების პირველ დღეებში გამოვლინებული ნაკლოვანებანი, დავაჩქაროთ მკა, ლეწვა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება, მთელი მოსავალი ავიღოთ მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ, პურის მიმღები პუნქტები სრულ წესრიგზე მოვიყვანოთ. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ მკისა და ლეწვის პერიოდში კომბაინერებსა, მეშტურვალეებსა, ტრაქტორისტებსა, მკელებსა, ძნისმკვრელებსა და სალეწების მემანქანეებს შორის შეჯიბრების ფართოდ გაშლას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოსავლის აღებასა და პურის გადაზიდვაზე ყველა მომუშავე ყოველდღიურ ნორმას მთლიანად და გადამეტებით ასრულებდეს, მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე თვითეული სალეწი მანქანა შეუფერხებლად, მაღალნაყოფიერად მუშაობდეს. კოლმეურნე გლეხობისათვის, სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის ახლა არ არსებობს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა, ვიდრე მოსავლის უდანაკარგოდ აღება და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის შესრულება. საჭიროა შეჯიბრება უფრო ქმედითი გავხადოთ და მივაღწიოთ ჩამორჩენილთა აყვანას მოწინავეთა დონემდე. დიდი სტალინი გვასწავლის: „სოციალისტური შეჯიბრება ამბობს: ერთნი მუშაობენ ცუდად, მეორენი—კარგად, მესამენი — უკეთესად, — **დაეწიე უკეთესებს** და მიაღწიე **საერთო აღმავლობას**“.

სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალა წარვმართოთ ამხანაგ სტალინისათვის მიცემული პირობის მთლიანად შესასრულებლად, რათა ჩვენმა კოლმეურნეებმა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა უხვი მოსავლისათვის დაიმსახურონ ის უმაღლესი ჯილდოები, რაც დაწესებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 29 მარტის ბრძანებულებით.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ბოლშევიკურად უნდა უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას. დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა სისტემატურად შემოწმებას, შეჯიბრების შედეგების კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრებებზე და პარტიული ორგანიზაციების ღია კრებებზე განხილვას.

სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ 1947 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის!

კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა საკოლმეურნეო სოფელში!

კორეის პროფკავშირთა დელეგაციების გამგზავრება

სამშობლოში გაემგზავრნენ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის პროფკავშირთა დელეგაციები, რომლებმაც მოსკოვში გამოიარეს პრაღიდან — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურ საბჭოს სესიაზე დასწრების შემდეგ. სტუმრებმა ერთ კვირაზე მეტი დაჰყვეს სსრ კავშირში და გაეცნენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მუშაობას. (საკდესი).

მშრომელები სწავლობენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებს

ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების მშრომელები, ინტელიგენცია, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები უდიდესი ინტერესით სწავლობენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდ ფუძემდებელთა — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

რიგის 360 წრეში მოეწყო რამდენიმე მეცადინეობა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდისადმი. ამ უკანასკნელ თვენახევარში ქალაქში საბჭოთა ხალხის დიდ ბელადთა ბიოგრაფიების დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის წაკითხულია 350 ლექცია. დროგობიჩის ოლქის რაიონებში შექმნილია 800 წრე. დროგობიჩის პირველი ნავთგადამამუშავებელი ქარხნის ერთ-ერთ წრეს ხელმძღვანელობს უფროსი ინჟინერი ამხანაგი ბონდარენკო. იგი კარგად იცნობს ამხანაგ სტალინის მიერ მოწყობილი ბათუმის მუშათა დემონსტრაციის მონაწილეებს. ქარხნის მთელ კოლექტივს დიდი ინტერესი აღუძრა ბონდარენკოს საუბრებმა ბათუმის დემონსტრაციის 45 წლისთავისა და ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ბაქოს პერიოდის შესახებ.

სტალინოს ოლქის სელიდოვის რაიონში ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიას სწავლობენ 18 წრესა და 12 პოლიტსკოლაში. პარტიის რაიკომმა ყველა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია მოამარაგა ბიბლიოთეკებით, რომლებშიც არის წიგნები და ბროშურები ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მრავალ ექსკურსანტს იზიდავს ისტორიული ადგილები. ნოვაია უდის ი. ბ. სტალინის სახელობის მუზეუმში, რომელიც შექმნილია ამხანაგ სტალინის პირველი გადასახლების ადგილას, ირკუტსკის ოლქის სოფელ ნოვაია უდაში, მიმდინარე წლის 5 თვის მანძილზე სამი ათასზე მეტი კაცი იყო.

ამას წინათ ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ერთ-ერთი ნაწილის ჯარისკაცთა, სერჟანტთა და ოფიცერთა დიდი ჯგუფი გაემგზავრა ამხანაგ სტალინის სამშობლო ქალაქ გორში.

მეორე ნაწილის მეომრები ძაუჯიკაუში იყვნენ. ადგილობრივ მუზეუმში მათ დაათვალიერეს მასალები და ფოტოდოკუმენტები ქალაქში ამხანაგ სტალინის ჩასვლის შესახებ, გაიცნეს იმ სიტყვათა ტექსტები, რომლებიც მას სხვადასხვა თათბირზე წარმოუთქვამს. (საკდესი).

საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმი

სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის შემოქმედებითი მიღწევები

მოსკოვი, 1 ივლისი. (საკდესი). 30 ივნისს გრძელდებოდა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმის მუშაობა. გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მთელი რიგი თანამოხსენებანი მოკავშირე რესპუბლიკათა ლიტერატურის მდგომარეობის შესახებ. პირველი გამოვიდა უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ა. კორნეიჩუკი.

— უკრაინის საბჭოთა მწერლებმა,— სთქვა მან,—ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა მწერლებმა, გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღეს საბჭოთა ლიტერატურის იდეური სიწმინდისათვის, მისი იდეური და მხატვრული დონის ამაღლებისათვის.

უკრაინის საბჭოთა მწერლებმა დაძაბული შემოქმედებითი მუშაობით უპასუხეს პარტიის გადაწყვეტილებებს ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. ის აღმავლობა, რაც უკრაინის ლიტერატურას ამჟამად ემჩნევა, მომხსენებელმა ცხადჰყო მრავალი მაგალითით. პროზაიკოსთა 90-ზე მეტი დიდი ნაწარმოები შემოვიდა მწერალთა კავშირისა და რესპუბლიკურ გამომცემლობათა მიერ გამოცხადებულ თანამედროვე სინამდვილისადმი მიძღვნილი საუკეთესო რომანისა და მოთხრობის კონკურსზე. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შემდეგ დაწერილ წიგნებში უკრაინელი მწერლები ასახავენ დიდი სამამულო ომისა და ომისშემდგომი წლების მოვლენებს. ამ ნაწარმოებებში ასახულია საბჭოთა წყობილების დიდი ჰუმანიზმი, დემოკრატიზმი, საბჭოთა ადამიანის ცხოველმყოფელი მორალი და კეთილშობილება, სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკრაინულ ლიტერატურას ახალგაზრდა მწერალთა დიდი ჯგუფი შეემატა.

ქართული ლიტერატურის მდგომარეობის შესახებ თანამოხსენება გააკეთა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ს. ჩიქოვანმა. იგი ლაპარაკობს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შემდეგ დაწერილი ქართველ მწერალთა წიგნები ხალხს ზრდიან სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. ს. ჩიქოვანი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ პროზაიკოსთა წარმატებას, რომლებიც სამამულო ომისა და ომისშემდგომი ხუთწლედისადმი მიძღვნილ ფუნდამენტალურ ნაწარმოებთა შესაქმნელად მუშაობენ.

საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა სტალინური მეგობრობის თემები — აი თანამედროვე ქართული ლიტერატურის ცხოველმყოფელი წყარო. მწერალმა ლ. ქიაჩელმა დასწერა მოთხრობა კავკასიის დაცვის შესახებ. ქართული სოფლის ომისშემდგომი ცხოვრებისადმი მიძღვნილია ა. ქუთათელის ეპოპეა. საქართველოს მეშახტეთა გმირული შრომა ასახულია ა. ჭეიშვილის რომანში. რესპუბლიკის მუშათა და კოლმეურნეთა შემოქმედებითი შრომის ამსახველ ახალ ნაწარმოებებზე მუშაობენ კ. ლორთქიფანიძე, დ. შენგელაია და სხვები. ამ უკანასკნელ ხანს თვალსაჩინო ნაწარმოებნი შექმნეს პოეტებმა. საქართველოს სახალხო პოეტმა გ. ტაბიძემ დაამთავრა ციკლი ლექსებისა სამამულო ომის გმირთა შესახებ, რომელნიც მშვიდობიან შრომას დაუბრუნდნენ. ამავე თემისადმი არის მიძღვნილი გ. აბაშიძის პოემა. სტალინური პრემიის ლაურეატმა გ. ლეონიძემ დიდი ისტორიული პოემა დასწერა საქართველოს სამგორის ველზე, რომელიც ახალ ხუთწლედში ნაყოფიერ აყვავებულ მხარედ გადაიქცევა. ოქტომბრის XXX წლისთავისათვის გამოიცემა საბჭოთა ადამიანების, სახალხო მეურნეობის განვითარების, საბჭოთა საქართველოს კულტურის აყვავების ამსახველ ახალ მოთხრობათა კრებული. მზადდება კრებული ქართველ პოეტთა ლექსებისა ლენინისა და სტალინის შესახებ.

შემდეგ თანამოხსენება უზბეკეთის ლიტერატურის მდგომარეობის შესახებ გააკეთა უზბეკეთის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. აიბეკმა, ლატვიური ლიტერატურის შესახებ—ლატვიის სს რესპუბლიკის საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა კ. კრაულინმა, ლიტვური ლიტერატურის შესახებ—ლიტვის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრმა ა. ვენცლოვამ.

დღეს პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

„ზაპოროჟსტალის“ № 3 ბრძმედმა პირველი თუჯი გამოუშვა

ზაპოროჟიე, 30 ივნისი. (საკდესი). დღეს 16 საათზე № 3 ბრძმედმა პირველი თუჯი გამოუშვა. ბრძმედსა და თბოელექტროცენტრალს შუა მდებარე მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელსაც მრავალი ათასი მშენებელი და მეტალურგი დაესწრო. მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. მისალმებები გაეგზავნა ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩსა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

სსრ კავშირის ფეხსაცმლის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფეხსაცმლის საწარმოებმა 24 ივნისს ვადამდე შეასრულეს ფეხსაცმლის გამოშვების 1947 წლის პირველი ნახევრის გეგმა. ვადამდე შესრულებულია აგრეთვე მეორე კვარტალისა და ივნისის გეგმა. ფეხსაცმლის გამოშვება გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 45,5 პროცენტით გადიდდა.

მთელმა რიგმა საწარმოებმა და ფაბრიკებმა „სკოროხოდმა“, „პროლეტარსკაია პობედა № 2“, „პროლეტარსკაია პობედა № 1“ 1947 წლის შვიდი თვის გეგმა შეასრულეს. (საკდესი).

ინგლისიდან დაბრუნდა საბჭოთა მეტალურგების დელეგაცია

30 ივნისს მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა მეტალურგების დელეგაცია, რომელიც ინგლისში იყო დიდი ბრიტანეთის ფოლადსამსხმელო და რკინის მრეწველობის მუშათა პროფესიული კავშირის მიწვევით.

დელეგაციას მეთაურობდა შავი მეტალურგიის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. ე. ევსტრატოვი. (საკდესი).

მზადება რკინიგზელის სტალინური დღისათვის

შრომითი აღმავლობა თბილისის სავაგონო უბანზე

მაღალნაყოფიერად მუშაობს თბილისის სავაგონო უბნის კოლექტივი (უბნის უფროსი ა. მორჩაძე, პარტორგანიზაციის მდივანი პ. კოკოევი). რკინიგზელის საკავშირო სტალინური დღისათვის მზადების პერიოდში აქ მტკიცედ დანერგეს ვაგონების ზესწრაფი რემონტის მეთოდი.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივის მაგალითისამებრ, 6 ივნისს მევაგონეებიც შეუდგნენ ოთხღერძიანი რბილი სამგზავრო ვაგონის კაპიტალურ რემონტს, რასაც არსებული ნორმების მიხედვით 72 სამუშაო საათი უნდა დასჭირებოდა. მევაგონეებმა ეს სამუშაო 4 საათის განმავლობაში შეასრულეს და სრულიად განახლებული რბილი ვაგონი გადასცეს მატარებლის შემადგენლობაში ჩასართავად. წარმატება უზრუნველჰყო შრომის სწორმა ორგანიზაციამ. სარემონტოდ გამოყოფილი ვაგონი შესწავლილ იქნა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი მატარებლის შემადგენლობაში იყო. წინასწარ დაამზადეს ყველა საჭირო მასალა, გაანაწილეს ბრიგადები.

პირველი ცდა წარმატებით დამთავრდა. ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ ვაგონის ასე ზესწრაფი რემონტისათვის მადლობა გამოუცხადა და დააჯილდოვა უბნის მოწინავე ადამიანები ინჟინერი შ. მამულაშვილი, ოსტატი კ. თევზაძე, ინჟინერი მ. ავაქოვი, ზეინკლები ა. ნონიკაშვილი, პ. ვოლოტოვსკი, მ. კვახაძე, მევტომატე ლ. მახათაძე და სხვები.

20 ივნისს მევაგონეები შეუდგნენ ორი საკლასო-სამგზავრო ვაგონის ზესწრაფი მეთოდით რემონტს. ეს ვაგონები გამოსული იყო მწყობრიდან და მევაგონეებმა იკისრეს მათი სრული გაჯანსაღება.

არსებული ნორმების თანახმად თვითეული ასეთი ვაგონის განახლებისათვის დაწესებულია 240 სამუშაო საათი. სულ ორივე ვაგონის შეკეთება ნორმის თანახმად უნდა დამთავრებულიყო 480 სამუშაო საათში.

20 ივნისს დილის 8 საათზე მევაგონეები შეუდგნენ მუშაობას, ხოლო საღამოს 5 საათისათვის ორივე სამგზავრო ვაგონი სრულიად განახლებული, შეღებილი და გამშვენიერებული უკვე გაგზავნეს მოძრავ მატარებელთა შემადგენლობაში ჩასართავად. სპეციალურმა კომისიამ ორივე ვაგონი მაღალი შეფასებით მიიღო.

26 ივნისს ზესწრაფი რემონტის მეთოდის დანერგვას შეუდგა სავაგონო უბანზე მომუშავე კომკავშირული ბრიგადა. კომკავშირელებმა ერთი სამგზავრო ვაგონის რთული რემონტი ნაცვლად 240 საათისა 7 საათში დაამთავრეს.

ზესწრაფი რემონტის მეთოდით მუშაობის დანერგვამ სავაგონო უბნის კოლექტივს ივნისის საწარმოო დავალებათა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულების საშუალება მისცა. ვაგონების წლიური რემონტის ივნისის თვიური დავალება უბანზე განაღდებული აქვთ 118 პროცენტით, საშუალო რემონტისა—150 პროცენტით.

რკინიგზელის სტალინური დღისათვის თბილისელმა მევაგონეებმა იკისრეს სავაგონო პარკი გაადიდონ გეგმის გადამეტებით შეკეთებული 12 სამგზავრო ვაგონით.

დ. ამირანიძე

თბილისელ ასათასოვანთა გამოცდილება ვრცელდება ყველა რკინიგზაზე

თბილისელ ასათასოვანთა ინიციატივამ (იხილე გაზ. „კომუნისტის“ 18 ივნისის № 121) ფართო გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა კავშირის ყველა რკინიგზაზე. თბილისელთა მეთოდით ახლა უკვე მთელ რიგ უბნებზე მუშაობენ.

რამდენიმე დღის წინათ სსრ კავშირის გზათა სამინისტროს ცენტრალურმა სავაგონო სამმართველომ შეიმუშავა და ყველა რკინიგზელის სახელმძღვანელოდ გამოაქვეყნა პირობები, რომელთა მიხედვით თბილისელ ასათასოვან რკინიგზელთა გამოცდილების საუკეთესო დამნერგავად მიჩნეულ იქნებიან სამგზავრო მატარებელთა მომსახურების ბრიგადები, რომლებიც: სამგზავრო ვაგონთა რემონტს მოახდენენ შემადგენლობებიდან მოუხსნელად, ვაგონებზე მოსალოდნელ დეფექტებს საკუთარი ძალებით გამოასწორებენ სადგურებში დგომისას, ისე რომ მოძრაობის გრაფიკიდან არ ამოვარდნენ, დაიცავენ მატარებლებში სანიმუშო სისუფთავეს, კულტურულად მოემსახურებიან მგზავრებს, გასწევენ სარემონტოდ გათვალისწინებული თანხების ეკონომიას და სხვა.

ცენტრალური სავაგონო სამმართველო ურჩევს სამგზავრო უბანთა ხელმძღვანელებს თბილისელთა მაგალითისამებრ გამყოლები მიამაგრონ სამგზავრო ვაგონებს და დააკისრონ მათ ვაგონების განუწყვეტელი მეთვალყურეობა.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე

○ **წლიური გეგმა შეასრულეს.** თბილისის საორთქლმავლო დეპოს ხარატმა კომკავშირელმა ო. მაზმიშვილმა მარტის დასაწყისში იკისრა წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულება და შეჯიბრებაში გამოიწვია თავისი ამხანაგები — ზეინკალი ს. სუხიშვილი, ხარატი ა. იმოსიანი, ელექტროშემდუღებელი ვ. ხლისტოვი და სხვები.

მაზმიშვილმა წლიური ნორმა 7 ნოემბრის ნაცვლად 15 ივნისისათვის შეასრულა, ხოლო დანარჩენებმა 28 ივნისისათვის. საორთქლმავლო დეპოში სულ 14 კომკავშირელმა სტახანოველმა შეასრულა წლიური გეგმა.

• • •

○ **მეისრის სიფხიზლემ მატარებელი გადაარჩინა.** სადგურ სოხუმის მეისრემ ვ. ორაგველიძემ, როდესაც სადგურზე მატარებელი უნდა შესულიყო, ერთხელ კიდევ შეამოწმა ისრების ტექნიკური მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ ისარს ენა ამოვარდნილი ჰქონდა და მოახლოებულ თბილის-მოსკოვის სამგზავრო მატარებელს ხიფათი მოელოდა. მეისრე ორაგველიძის ასეთი აიფხიზლის შედეგად მატარებელი ხიფათს ასცდა.

• • •

○ **სპეციალისტთა ახალი კადრი.** 229 ახალგაზრდა მაღალკვალიფიციური ინჟინერი მეტრანსპორტე შეემატება წელს ამიერკავკასიის რკინიგზელთა ოჯახს. მათ ახლახან დაამთავრეს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი და ბრწყინვალედ დაიცვეს სადიპლომო შრომები. ახლად კურსდამთავრებულთა შორის არიან 55 მშენებელი, 49 მექანიკოსი და 53 ხიდის მშენებელი.

გარდამავალი დროშა კავშირგაბმულობის სამტრედიის რაიონულ კანტორას

რესპუბლიკურმა ჟიურიმ, რომელსაც ამხ. ი. მონიავა თავმჯდომარეობს, განიხილა საქართველოს კავშირგაბმულობის რაიონული კანტორების სოციალისტური შეჯიბრების შედეგები მაისში მუშაობის მაჩვენებელთა მიხედვით.

ჟიურიმ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნო კავშირგაბმულობის სამტრედიის რაიონული კანტორა (უფროსი ამხ. ახობაძე, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ხვიჩია), რომელსაც მიაკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია. ეს დროშა წინა თვეში მიკუთვნებული ჰქონდა ჭიათურის კავშირგაბმულობის საქალაქო კანტორას.

რესპუბლიკურმა ჟიურიმ ამასთან აღნიშნა კავშირგაბმულობის კაჭრეთის რაიონული კანტორის მუშაობის გაუმჯობესება მაისში.

კიროველები—კვლავ მოწინავეთა რიგებში

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა მაისში კვლავ მეორე ადგილი მოიპოვა დაზგათმშენებელთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კიდევ უკეთესად იმუშავეს კიროველებმა ივნისში. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების თვიური დავალება მათ 124,4 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 6 დაზგა.

ქარხანამ ნახევარი წლის საწარმოო გეგმა მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულა. დაზგათმშენებლებმა გეგმის გადამეტებით 1.237.000 მანეთის პროდუქცია მოგვცეს. მათ წელს აითვისეს სამი ახალი ტიპის სპეციალური დაზგის სერიული გამოშვება.

მებრძოლი სტალინური გაზეთი

(40 წელი „ბაკინსკი პროლეტარის" გამოსვლიდან)

ორმოცი წლის წინათ, 1907 წლის 3 ივლისს (ძველი სტილით 20 ივნისს) გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთის „ბაკინსკი პროლეტარის" პირველი ნომერი. გაზეთის ორგანიზატორი და უშუალო ხელმძღვანელი იყო დიდი სტალინი. „ბაკინსკი პროლეტარი" წარმოადგენდა ბაქოს ბოლშევიკების არალეგალურ ორგანოს. იგი გამოვიდა უძნელეს პირობებში, როცა მთელ რუსეთში გამეფებული იყო სტოლიპინის რეაქცია და მეფის სამხედრო-საველე სასამართლოები სახრჩობელებზე და კატორღაში გზავნიდნენ ხალხის საუკეთესო შვილებს.

1907 წლიდან პარტიის ნებით ამხანაგი სტალინი ბაქოში გადადის სამუშაოდ და იქიდან ხელმძღვანელობს ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. რსდმპ მეხუთე ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ ამხანაგმა სტალინმა შემოიარა კავკასიის მნიშვნელოვანი რაიონები — თბილისი, ბაქო, დასავლეთი საქართველო, მოხსენებებით გამოვიდა ყრილობის შედეგების შესახებ. ბელადმა დარაზმა ბოლშევიკური ორგანიზაციები პარტიის მეხუთე ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ბაქოს იმ ხანებში მენშევიკების, ბუნდელების, შენდრიკოველებისა და სხვა ანტირევოლუციური პარტიების გავლენის საფრთხე ემუქრებოდა. ამხანაგი სტალინი სასტიკ ბრძოლას აწარმოებს ამ პარტიების წინააღმდეგ, ნიღაბს აცლის მათ, გავლენას ბაქოს მუშებში, ამტკიცებს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბაქოს პროლეტარიატმა განვლო რევოლუციური მუშაობის დიდი სკოლა, რომლის შესანიშნავ ნაყოფს წარმოადგენდა ბაქოელი მუშების ბრწყინვალე გამარჯვებანი ნავთის მრეწველების წინააღმდეგ ბრძოლაში. მან გააათკეცა ბოლშევიკების ავტორიტეტი მუშათა შორის და უზრუნველჰყო ბაქოს პროლეტარიატის დარაზმვა ლენინ-სტალინის დროშის გარშემო.

დიდი სტალინის ხელმძღვანელობით შეიქმნა ბაქოში ბოლშევიკური პრესა. 1906-1909 წლებში ბაქოში გამოდიოდა მრავალი ბოლშევიკური გაზეთი, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო დიდი სტალინი. ერთ-ერთ საუკეთესო ბოლშევიკურ გაზეთად ითვლებოდა 1907 წელს ამხანაგ სტალინის მიერ დაარსებული გაზეთი „ბაკინსკი პროლეტარი". გაზეთი თანმიმდევრულად იცავდა პროლეტარიატის ინტერესებს, ამხილებდა მუშათა კლასის მტრებს, გაბედულად იბრძოდა პარტიაში ლენინ-სტალინის ხაზის გასატარებლად.

„ბაკინსკი პროლეტარი" გამოდიოდა რუსულ ენაზე 1909 წლის 27 აგვისტომდე. 1908 წელს მეხუთე ნომრის გამოსვლის შემდეგ გაზეთის გამოსვლა შეწყდა და მხოლოდ მას შემდეგ განახლდა, რაც ამხანაგი სტალინი 1909 წელს გადასახლებიდან გამოიქცა და კვლავ სათავეში ჩაუდგა ბაქოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. გაზეთ „ბაკინსკი პროლეტარში" სისტემატურად იბეჭდებოდა ამხანაგ სტალინის სახელმძღვანელო სტატიები კობას, კო...სა და სხვა ფსევდონიმებით, აგრეთვე ხელმოუწერლადაც. გაზეთის პირველ ნომერს ეწერა, რომ იგი წარმოადგენს ბაქოს ორგანიზაციის ბალახანის რაიონის ბოლშევიკური კომიტეტის ორგანოს; მეორე ნომერი გამოვიდა, როგორც ბალახანისა და შავი ქალაქის რაიონების ორგანო; მესამე ნომრიდან კი, როცა უკვე ქალაქის ყველა რაიონში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკური ორგანიზაციები განმტკიცდა, „ბაკინსკი პროლეტარი" ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის ორგანო გახდა. გაზეთის გარშემო შემოკრებილი იყვნენ ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაკები ს. შაუმიანი, ალ. ჯაფარიძე, ს. სპანდარიანი, პ. დ. საყვარელიძე და სხვ. მუშათა ფართო აქტივი მხურვალე მონაწილეობას იღებდა გაზეთში.

„ბაკინსკი პროლეტარის" პირველ ნომერში ამხანაგ სტალინის ორი სტატია დაიბეჭდა: მოწინავე—„სათათბიროს დათხოვა და პროლეტარიატის ამოცანები" და დიდი წერილის „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა" (დელეგატის წერილები) დასაწყისი.

მოწინავე წერილი ეხებოდა II სახელმწიფო სათათბიროს გარეკვას მეფის მთავრობის მიერ. დიდი სტალინი შესანიშნავად ასაბუთებს სახელმწიფო სათათბიროს არსს თვითმპყრობელობის პირობებში. ანალიზს უკეთებს რა არსებულ ვითარებას სათათბიროს გარეკვასთან დაკავშირებით, ამხანაგი სტალინი ამბობს: პროლეტარიატის „მხოლოდ გლეხობასთან კავშირით, მეფის ხელისუფლებისა და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლით შეიძლება გადაიჭრას რევოლუციის ძირითადი საკითხები".[1])

ამხანაგ სტალინის შესანიშნავი წერილი „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა" იცავს და ასაბუთებს ლენინის, ბოლშევიკების თვალსაზრისს რევოლუციის შეფასებაში და ამხილებს მენშევიკებს, ბუნდელებს, ტროცკისა და მათ მსგავს გამცემლებს, რომლებიც თავიანთი მოღალატური მოქმედებით პარტიის უარყოფამდე მივიდნენ. ამხანაგმა სტალინმა ულმობლად ამხილა მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის უბადრუკობა, დაიცვა და განავითარა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინური თეორია. ამხანაგმა სტალინმა დაახასიათა მენშევიზმის სოციალური ფესვები, შეაფასა მისი ტაქტიკა, როგორც ნახევრად ბურჟუაზიული ელემენტების ტაქტიკა. ბოლშევიზმის ტაქტიკა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — „არის მსხვილი სამრეწველო პროლეტარიატის ტაქტიკა, იმ რაიონების ტაქტიკა, სადაც კლასობრივი წინააღმდეგობანი განსაკუთრებით ნათელია და კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებით მკვეთრია. ბოლშევიზმი — ეს არის ნამდვილი პროლეტარების ტაქტიკა".

ამხანაგმა სტალინმა ნიღაბი ჩამოჰხადა მენშევიკების ლიკვიდატორობას და მათს უბადრუკ იდეას მუშათა უპარტიო ყრილობის მოწვევის შესახებ. პარტიის ლონდონის „ყრილობა,—სწერდა დიდი სტალინი, — დამთავრდა ბოლშევიზმის სრული გამარჯვებით, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გამარჯვებით ჩვენი პარტიის ოპორტუნისტულ ფრთაზე — მენშევიზმზე".

„ბაკინსკი პროლეტარის" მეხუთე ნომერში დაიბეჭდა ამხანაგ სტალინის სტატია „პირმოთნე სოციალისტები". დიდი ბელადი ამ წერილში ააშკარავებს ქართველი მენშევიკების უპრინციპობას, მათს აშკარა გამცემლობას რევოლუციის მიმართ. გაზეთის იმავე ნომრის მეორე სტატიაში „მოფარისევლე ზუბატოველები" ამხანაგი სტალინი ნიღაბსა ჰხდის შენდრიკოველებს, რომლებიც სოციალ-დემოკრატიისა და პროლეტარიატის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ იბრძოდნენ. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ბაქოს ბოლშევიკებმა გამოააშკარავეს შენდრიკოველთა გველაძუობა, რომლებიც მეფის ოხრანკას ეხმარებოდნენ მუშათა ერთსულოვნობის გატეხვისათვის ბრძოლაში.

1908 წლის 25 მარტს მეფის ჟანდარმერიამ დააპატიმრა ამხანაგი სტალინი. ბაქოს ბაილოვის ცნობილი ციხე, სადაც იმ დროს მრავალი ბოლშევიკი და რევოლუციონერი იყო, თავის პატიმრობის პერიოდში დიდმა სტალინმა ერთგვარ პარტიულ სასწავლებლად გადააქცია. „ბაქოს ციხეში, — სწერს თავის მოგონებაში პ. დ. საყვარელიძე,— სტალინის ინიციატივით იმართებოდა პარტიული საუბრები. შექმნილი იყო რაღაც პარტიული კურსების მაგვარი, სადაც მისივე ხელმძღვანელობით სწარმოებდა მეცადინეობა პარტიის, მარქსიზმის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საკითხებზე... დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ფილოსოფიის პრობლემებსაც... სტალინი, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულ მუშაობაში იყო ჩაფლული, ყოველთვის ნახულობდა დროს თეორიული მეცადინეობისათვის. ერთიდაიმავე დროს ისწავლო და ასწავლო, — მისი დევიზი იყო. იგი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა პარტიულ-პოლიტიკური ბრძოლის ლიტერატურულ მომსახურებას, დიდ საპასუხისმგებლო მუშაობას ეწეოდა ბოლშევიკურ ბეჭდვითი სიტყვის ყველა ორგანოში".

ამხანაგი სტალინი ციხეში აწყობდა დისკუსიებს მენშევიკების, ესერების და სხვათა წინააღმდეგ, ხელმძღვანელობდა როგორც ბაქოს, ისე მთელი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას. ბაილოვის ციხეში დასწერა მან მრავალი ღირსშესანიშნავი საპროგრამო სტატია გაზეთ „გუდოკისა" და „ბაკინსკი პროლეტარისათვის".

„ბაკინსკი პროლეტარის" მეხუთე ნომრის დამატება მთლიანად დათმობილი აქვს ამხანაგ სტალინის ვრცელ სტატიას „თათბირი და მუშები". ამ სტატიაში ამხანაგმა სტალინმა გაარკვია ბაქოს მუშათა მორიგი ამოცანები ნავთის მრეწველთა წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ბაქოს პროლეტარიატმა აიძულა ნავთის მრეწველები ანგარიში გაეწიათ არა მხოლოდ მუშათა მცირე და შედარებით უზრუნველყოფილი ნაწილისათვის, არამედ პროლეტარიატის ფართო ფენებისათვის. თათბირი, რომელიც ნავთის მრეწველებს მუშების წინააღმდეგ უნდოდათ გამოეყენებინათ, ბოლშევიკების მეცადინეობით, თვით მეწარმეთა წინააღმდეგ წარიმართა. პროლეტარიატის საგაფიცვო მოძრაობამ მეწარმეთა დემაგოგიური მოქმედების წინააღმდეგ, ბოლშევიკების მგზნებარე, დამაჯერებელმა აგიტაციამ ბაქოს მუშები კიდევ უფრო მტკიცედ დარაზმა. მუშებმა აიძულეს ნავთის მრეწველები დაედოთ კოლექტიური ხელშეკრულება მათთან. ეს იყო ბაქოს მუშათა კლასის დიდი გამარჯვება, რასაც მაღალი შეფასება მისცა ლენინმა.

1908 წლის 9 ნოემბერს ამხანაგი სტალინი გადაასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში. 1909 წლის ივნისში სტალინი გამოიქცა გადასახლებიდან. ივლისის დასაწყისში იგი პეტერბურგშია. შემდეგ მცირე ხნით ჩამოდის ამიერკავკასიაში, შეუნელებლად მუშაობს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების განსამტკიცებლად, აწყობს არალეგალური პრესის გამოცემას, კერძოდ, ანახლებს გაზეთ „ბაკინსკი პროლეტარს". ამ გაზეთის მეექვსე და მეშვიდე ნომრებში, რომლებიც 1909 წლის აგვისტოში გამოვიდა, დაიბეჭდა სტალინის სტატია „პარტიული კრიზისი და ჩვენი ამოცანები". ამხანაგმა სტალინმა გენიალურად განაზოგადა ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება ადგილებზე და დააყენა პროლეტარიატის პარტიის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეორე ტომში შესულია მთელი რიგი სტატიები, რომლებიც დაიბეჭდა „ბაკინსკი პროლეტარში". გაზეთში სისტემატურად იბეჭდებოდა ცნობები, წერილები და კორესპონდენციები რუსეთისა და უცხოეთის მუშათა მოძრაობაზე, პარტიულ ცხოვრებაზე, სათათბიროსა და სხვა საკითხებზე. „ბაკინსკი პროლეტარი" დაკავშირებული იყო პარტიის ცენტრალურ ორგანოსთან „პროლეტარსა" და „სოციალ-დემოკრატთან". „ბაკინსკი პროლეტარის" ტრადიციებს აგრძელებდნენ მასობრივი პროფკავშირული სტალინური გაზეთი „გუდოკი", რომელიც „ბაკინსკი პროლეტართან" ერთად გამოდიოდა, „ბაკინსკი რაბოჩი" და სხვ. „ბაკინსკი პროლეტარი" ასახავდა იმ შესანიშნავ ბრძოლას, რასაც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით აწარმოებდნენ 1907-1909 წლებში ბაქოს ბოლშევიკები.

ლ. სტურუა

[1]) ციტირებულია ამხანაგ ბერიას წიგნიდან „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 136.

მუშათა საზაფხულო დასვენება

წელს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტისა და ახალი მშენებლობის ათასობით მუშა, ინჟინერტექნიკოსი და მოსამსახურე შვებულებას სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაატარებს. საქართველოს მრავალრიცხოვან კურორტებზე დიდი მუშაობა ჩატარდა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების შესაკეთებლად, მათი ინვენტარით შესავსებად, სურსათ-სანოვაგის მოსამარაგებლად, საექიმო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ამიერკავკასიის რკინიგზელებისათვის წყალტუბოში შეკეთებულია სანატორიუმის ტიპის საავადმყოფო, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს. აქ მალე დამთავრდება აგრეთვე რკინიგზელთა 125 საწოლიანი სანატორიუმის მშენებლობა. წელს მესამე კვარტალში მუშაობას განაახლებს სანატორიუმის ტიპის საავადმყოფო ქობულეთში.

რკინიგზის პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა და გზის საწარმოებმა რკინიგზელებს უკვე მისცეს პირველი საგზურები. ბორჯომის, ცემის, წყალტუბოს, ესენტუკისა და სხვა კურორტებზე წელს 1.500-ზე მეტი რკინიგზელი დაისვენებს. გარდა ამისა, 900-მდე რკინიგზელი შვებულებას გაატარებს გზის საწარმოების მიერ მოწყობილ დასასვენებელ სახლებში. თბილისის რკინიგზელთა სამასზე მეტი ბავშვი ზაფხულს გაატარებს ცემში, სურამში, ტბასა და მახინჯაურში.

თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხნის დირექციის მიერ 1945 წელს ჯავაში აგებულ დასასვენებელ სახლში 3 ივლისს მიემგზავრება 50 მუშა. გასულ წელს აქ შვებულება გაატარა ქარხნის 800 მუშამ. ამავე ქარხნის ქობულეთის დასასვენებელ სახლში შვებულებას გაატარებს 500-ზე მეტი მუშა. გარდა ამისა, ქარხნის დირექცია ქობულეთში აშენებს სანატორიუმის ტიპის 100-საწოლიან დასასვენებელ სახლს, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა მომავალ წელს.

საკოლმეურნეო სამკითხველო

ონის რაიონის სოფელ ონჭევის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში ამ დღეებში გაიხსნა სამკითხველო.

სამკითხველოს მოსდის მრავალი ჟურნალ-გაზეთი, საკმაო რაოდენობით აქვს ლიტერატურა.

სამკითხველო სოფლის მშრომელთა საყვარელ თავშესაყრელ ადგილად გადაიქცა. ყოველ საღამოობით აქ იკრიბებიან კოლმეურნეები. გაზეთის ხმამაღლა მკითხველები და აგიტატორები კოლმეურნეებს მოუთხრობენ ჩვენი ქვეყნის საინტერესო ამბებს, ესაუბრებიან საერთაშორისო საკითხებზე.

სამკითხველოში მუშაობს საშაშე და საჭადრაკო წრე, რომელსაც მასწავლებელი გ. შერაზადაშვილი ხელმძღვანელობს. აქვე მუშაობს აგრონომიული წრე ზოოტექნიკოს თ. დარახველიძის ხელმძღვანელობით. სამკითხველოსთან გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი.

კარგად მუშაობს სამკითხველოს გამგე მარო გობეჯიშვილი.

პარტიული ცხოვრება

როცა კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის ზრუნავენ

სოფელ ჟაშქვის კოლმეურნეობის წევრი კომკავშირელი გურგენ ჩაგელიშვილი შრომაში მოწინავე იყო. იგი სხვებისაგან გამოირჩეოდა საზოგადოებრივ მუშაობაშიც. პარტიულ, კომკავშირულ თუ საზოგადო კრებებზე, ახალგაზრდა კოლმეურნე გამოდიოდა საქმიანად, გულშემატკივრობას იჩენდა საერთო საქმისადმი.

ეს აქტივისტი შეუმჩნეველი არ დარჩათ პარტიის ონის რაიკომის მუშაკებს. ჟაშქვაში ხშირად მიდიან ისინი, ეხმარებიან კოლმეურნეობის გამგეობას, პარტიულ ორგანიზაციას. რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ბ. გორგიაშვილიც ესაუბრა გურგენ ჩაგელიშვილს, გასინჯა მისი შრომის წიგნაკი. კოლმეურნე აქტივისტს აგიტატორობა დაავალეს. მან აგიტატორ-ორგანიზატორის კარგი ნიჭი გამოიჩინა, პირადი მაგალითით რაზმავდა კოლმეურნეებს, აღაფრთოვანებდა შრომაში, მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში.

მალე გურგენ ჩაგელიშვილი დააწინაურეს კომკავშირის ონის რაიკომის ინსტრუქტორად, ხოლო შემდეგ მის მეორე მდივნად აირჩიეს. ახლა იგი ლენინ-სტალინის პარტიის წევრია, ბეჯითად მუშაობს თავისთავზე, სწავლობს რაიაქტივის სემინარში, არის მოწინავე პროპაგანდისტი და ხელმძღვანელობს პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეს.

პარტიის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე სევერიან როსნაძე ომამდე მასწავლებელი იყო. საბჭოთა არმიის რიგებში პოლიტიკურად გამოიწრთო. არმიიდან დაბრუნების შემდეგ იგი ერთხანს კვლავ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა, შემდეგ განათლების განყოფილების ინსტრუქტორად დააწინაურეს. ამავე დროს რაიკომი აძლევდა მას საპასუხისმგებლო დავალებებს — ხელმძღვანელობდა აგიტკოლექტივსა და რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეებში იგი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა, საუკეთესოდ ასრულებდა ამ მოვალეობას. ამჟამად იგი არა მარტო ხელმძღვანელობს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას, არამედ ერთ-ერთი ძლიერი ლექტორიცაა რაიონში.

ასე იზრდებიან ადამიანები იქ, სადაც კადრებზე ზრუნავენ, სწავლობენ მათ მუშაობას, ასწავლიან და მათი უნარის მიხედვით ანაწილებენ ადამიანებს პოსტებზე.

აქ დავასახელეთ ახალგაზრდა კადრების ზრდის ორი მაგალითი. მაგრამ რაიონში სხვებიც მრავლად არიან ომის წლებში და მის შემდეგ დაწინაურებული და აღზრდილი ახალგაზრდა კადრები—კომუნისტები, უპარტიო ბოლშევიკები, რომლებიც საუკეთესოდ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

ახალგაზრდა მუშაკთა აღზრდისათვის ზრუნვის ერთ-ერთი მაჩვენებელია ის, რომ 1946-1947 წლების მანძილზე საქართველოს კ. პ. (ბ) ონის რაიკომის ბიურომ 20-ჯერ განიხილა კადრებთან მუშაობის საკითხი. რაიკომი და მისი კადრების განყოფილება (მდივანი კადრების დარგში ამხ. ა. ჭელიძე) განსაკუთრებით სერიოზულ მზრუნველობას იჩენენ საკოლმეურნეო კადრების აღზრდა-შენარჩუნებისადმი. საკოლმეურნეო კადრებთან მუშაობის საკითხი წელს ორჯერაა განხილული.

საკოლმეურნეო კადრების მომზადების დარგში სერიოზული ნაკლოვანებანი იყო. მწვავედ იგრძნობოდა საანგარიშო დარგის მუშაკთა კადრების სიმცირე, სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორ-ბუხჰალტრები იშვიათად დადიოდნენ კოლმეურნეობებში, არ ეხმარებოდნენ ადგილზე მომუშავე საანგარიშო დარგის მუშაკებს, დაგვიანებით და ზერელედ ატარებდნენ რევიზიებს. სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეებისა და წევრების მომზადება-გადამზადება მივიწყებული იყო. გომის, ჯინჭვისისა და ჭიბრევის კოლმეურნეობებში წარამარა ცვლიდნენ სარევიზიო კომისიის წევრებს. სერიოზული ნაკლოვანებები იყო აგრონომებისა და ზოოვეტერინარული კადრების მუშაობაში. ერთი და იგივე აგრონომს ან ვეტექიმს მომსახურება უნდა გაეწია რამდენიმე სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობებისათვის. ცხადია, აქედან არაფერი სასარგებლო რამ არ გამოდიოდა. განსაკუთრებით ცუდად იდგა ბრიგადირების, მერგოლურებისა და ფერმის მუშაკების მომზადება-გადამზადების საქმე. ქორთის, უწერისა და გომის კოლმეურნეობებში ბრიგადირები და მერგოლურები ვერ ერკვეოდნენ აღრიცხვისა და შრომის ორგანიზაციის საკითხებში.

რა შედეგი მოჰყვა რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებას?

მარტო მიმდინარე წელს ბრიგადირად და მერგოლურად მომზადებულ იქნა 120 კაცი, ფერმაში სამუშაოდ 105 კაცი. მომზადდა და გადამზადდა სარევიზიო კომისიის ბევრი თავმჯდომარე, მოანგარიშე, ვაზის მყნობელი, მსხვლელი, მეფუტკრე. ამან მნიშვნელოვნად განამტკიცა საკოლმეურნეო კადრები, გააუმჯობესა კოლმეურნეობათა მუშაობა.

რაიკომის ბიურომ მიმდინარე წელს განიხილა სკოლის, ჯანმრთელობის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, მოლიბდენისა და სხვა საწარმოების, სასოფლო საბჭოების კადრების მდგომარეობის საკითხები.

ბიუროს მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების შედეგად გადაჭრით გაუმჯობესდა ხელმძღვანელობა და დახმარება რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრებისადმი.

განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობიან ონში საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულებს. ეს იქიდანაც სჩანს, რომ წელს რაიკომის ბიურომ ორჯერ იმსჯელა საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულ კადრებთან მუშაობის საკითხზე. რაიონში დაბრუნებული ყველა მეომარი მოწყობილია შესაფერის სამუშაოზე. რაიკომის ნომენკლატურულ თანამდებობაზე მუშაობს 150-ზე მეტი დემობილიზებული, მათ შორის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ 18, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ—6, მეცხოველეობის ფერმის გამგედ—13, სკოლის დირექტორად და სასწავლო ნაწილის გამგედ—7, პირველადი პარტორგანიზაციის მდივნად—39.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კოლმეურნეობათა უზრუნველყოფას მომზადებული ხელმძღვანელი კადრებით. რაიკომი კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად და პარტორგანიზაციის მდივნებად რეკომენდაციას აძლევს შემოწმებულ, ენერგიულ და გამოცდილ ამხანაგებს, ზრუნავს მათი აღზრდისათვის. რაიკომის დასაწინაურებელთა რეზერვში ყოველთვის ითვლება 80-100 ამხანაგი. რაიკომი და მისი კადრების განყოფილება სწავლობენ ყოველ მათგანს, ესაუბრებიან მათ, აძლევენ პარტიულ დავალებებს, ახდენენ შესრულების შემოწმებას და ამ გზით არკვევენ ადამიანის უნარსა და შესაძლებლობას. მათ იციან, ვინ სად გამოდგება, რისი გაკეთება შეუძლია. ამიტომ აქ მაშინ კი არ დაეძებენ დასაწინაურებელ ამხანაგს, როცა ადგილი განთავისუფლდება, არამედ წინასწარ ჰყავთ შერჩეული რამდენიმე კანდიდატი.

ამხ. ც. გუგეშაშვილი სოფელ მაჟიეთის კოლმეურნეობის მოანგარიშედ მუშაობდა. ამავე დროს იგი პარტორგანიზაციასაც ხელმძღვანელობდა. ამ თანამდებობაზე 2 წელიწადზე მეტი ხნის მუშაობის პერიოდში მან გამოიჩინა კარგი ორგანიზატორული ნიჭი. როცა აქ კოლმეურნეობის თავმჯდომარე სუსტი მუშაობის გამო გაათავისუფლეს, მის ადგილზე რაიკომმა მხარი დაუჭირა ამხ. გუგეშაშვილის კანდიდატურას. უკანასკნელმა გაამართლა ნდობა. მალე კოლმეურნეობაში მდგომარეობა გამოსწორდა. ამჟამად მაჟიეთის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში.

გასულ წელს სოფელ ნიგავზების კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დაწინაურებულ იქნა ამავე კოლმეურნეობის მეფუტკრეობის ფერმის გამგე ნინო კერესელიძე. მან საზოგადოებრივი მეურნეობის მეთაურის კარგი უნარი გამოიჩინა, მისი ხელმძღვანელობით კოლმეურნეობა ყოველდღიურად იზრდება.

სომიწოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობა წინა წლებში ჩამორჩებოდა. იგი დაწინაურდა მას შემდეგ, როცა კოლმეურნეობის ხელმძღვანელად აქ საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული გ. იაშვილი აირჩიეს.

ნაკიეთის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" თავმჯდომარე ნ. ჩლაიძემ კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა. იგი კოლმეურნეებმა თავმჯდომარეობისაგან გაათავისუფლეს. მის ადგილას აირჩიეს ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირი გ. ჩლაიძე. მას პირველად გაუჭირდა მუშაობა, მაგრამ რაიკომის მუშაკები დაეხმარნენ. ახალგაზრდა სამეურნეო მუშაკი თანდათანობით დაეუფლა ხელმძღვანელობის ოსტატობას. ამჟამად ნაკიეთის კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებშია.

შარშან და წელს კოლმეურნეობათა პარტორგანიზაციის მდივნებად რაიკომმა დააწინაურა 40-ზე მეტი ამხანაგი. მათი უმეტესობა უნარიანად უძღვება საქმეს, წარმატებით მუშაობს კოლმეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

კარგად მუშაობს ფარახეთის სასოფლო საბჭოსთან არსებული ტერიტორიული პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ე. ტოგონიძე ხელმძღვანელობს. პარტორგანიზაცია სისტემატურად იხილავს სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების კეთილმოწყობის საკითხებს. ამის შედეგად სასოფლო საბჭო სანიმუშოა კეთილმოწყობის მხრივ. ფარახეთში გამოიყვანეს წყაროს წყალი, ააშენეს კლუბი, სამკითხველო, აბანო, საექიმო პუნქტი.

ახალგაზრდა კადრების აღზრდის, დაწინაურებისა და მათდამი პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის დარგში საქართველოს კ. პ. (ბ) ონის რაიკომი თვალსაჩინო მუშაობას ატარებს. აქ ხელაღებით კი არ ხსნიან თანამდებობიდან მუშაკებს, არამედ ეხმარებიან მათ, ასწავლიან. ბორცოს, ღარის და ძევლევის კოლმეურნეობათა პარტორგანიზაციების ახლად დაწინაურებული მდივნები პირველ ხანებში კარგად ვერ ერკვეოდნენ პარტიული მუშაობის საკითხებში. მათ ჰქონდათ შეცდომები, მაგრამ რაიკომის კადრების განყოფილება დაეხმარა ამ ამხანაგებს ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. კადრების განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. გ. შიმშილაშვილი კვირაობით იჯდა აღნიშნულ სოფლებში, ეხმარებოდა გამოუცდელ მდივნებს სამუშაო გეგმების შედგენაში, კომუნისტების აღრიცხვაზე აყვანისა და აღრიცხვიდან მოხსნის გაფორმებაში, უხსნიდა საწევრო ანარიცხების გადახდევინების წესებს.

სოფელ სომიწოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილედ დიდხანს მუშაობდა დარია რაზმაძე. იგი ვერ ერკვეოდა თავის მოვალეობაში. პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. გ. გამყრელიძე არაფერს ავალებდა თავის მოადგილეს. რაზმაძე პასიურობდა. რაიკომის მუშაკები ესაუბრნენ ამხ. გამყრელიძეს და ამხ. რაზმაძეს, აუხსნეს მათ მდივნის მოადგილის მოვალეობა. ამის შემდეგ საქმე გამოსწორდა. რაზმაძე აქტიური პარტიული მუშაკი გახდა. ასეთი მაგალითები მრავალია.

რაიონში გულმოდგინედ მუშაობენ კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. წელს 5 თვის განმავლობაში რაიონის ცენტრსა და კოლმეურნეობებში ჩატარებულია 95 ლექცია და 127-ზე მეტი პოლიტიკური მოხსენება, რომლებსაც 12.000-ზე მეტი კაცი დაესწრო. ლექციებსა და პოლიტიკურ მოხსენებას სისტემატურად კითხულობს რაიონის 19 პასუხისმგებელი მუშაკი.

მშრომელთა მასებში განუხრელად მაღლდება პარტიის ავტორიტეტი, რაც გამოხატულებას პოულობს მისწრაფებით პარტიის რიგებში შესასვლელად. ხუთი თვის განმავლობაში რაიონის პარტიულ ორგანიზაციას შეემატა 143 ამხანაგი. 8 ახალი პირველადი პარტიული ორგანიზაცია შეიქმნა. ამჟამად კოლმეურნეობებში მომუშავე კომუნისტების რიცხვი 700 კაცს აღემატება, კომკავშირელები 2.000-მდეა. ეს დიდი ძალაა, რომელსაც რაიკომი ეყრდნობა თავის ყოველდღიურ მუშაობაში.

პარტიის რიგებში მიღება ხდება ინდივიდუალური შერჩევის ლენინურ-სტალინური პრინციპის ზუსტად დაცვით. პარტიის რიგებში მიღებული არიან ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი ბოლომდე ერთგული ადამიანები.

კადრებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას ადასტურებს ისიც, რომ ხელმძღვანელი ამხანაგებით დაწყებული რიგით მუშაკებამდე ყველა თანამდებობაზე ადგილობრივი ამხანაგები მუშაობენ.

ზემოთ თქმული სრულიად არ ნიშნავს, რომ პარტიის ონის რაიკომს კადრებთან მუშაობაში ნაკლოვანებები არ ჰქონდეს. რაიონის ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაცია კარგად როდი მუშაობს. მაგალითად, სოფელ ქორთის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია ახალგაზრდა კომუნისტებთან და უპარტიო აქტივთან მუშაობას ყურადღებას არ აქცევს. ორგანიზაციაში 2 კანდიდატი ირიცხება და მათაც სტაჟი გადაცილებული აქვთ. სევისა და ღების კოლმეურნეობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა დაივიწყეს კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა, სუსტად მუშაობენ პარტიის რიგების ზრდისათვის.

ეჭვი არაა, რომ პარტიის ონის რაიკომი, კადრებისადმი მზრუნველობით, მათი გონივრული გამოყენებით კიდევ უკეთესად დარაზმავს რაიონის მშრომელებს, უზრუნველჰყოფს უხვი მოსავლის მიღებას, წარმატებით გაანაღდებს ხალხთა ბელადისათვის მიცემულ სიტყვას.

ა. ნინუა

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმების შესრულება

მცხეთის რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების 1947 წლის გეგმა 112,2 პროცენტით შეასრულა, დამზადებულია 49,4 ცენტნერი პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 44 ცენტნერისა.

ქუთაისის რაიონის მეაბრეშუმეებმა 101 პროცენტით გაანაღდეს პარკის დამზადების წლიური დავალება. მათ სახელმწიფოს ჩააბარეს 807 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

ზუგდიდის საგრენაჟო ქარხანამ აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა 100,7 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 241,1 ცენტნერისა, დაამზადა 242,9 ცენტნერი პარკი.

სოფლის მთელი ძალები მოვახმაროთ მოსავლის უდანაკარგოდ აღებას!

პირველ განალეწ მარცვლეულს სახელმწიფოს აბარებენ

კასპის რაიონის კოლმეურნეები და მტს-ის მუშაკები დროულად მოემზადნენ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისათვის. შედგენილია მოსავლის აღების კალენდარული გეგმები, ბრიგადებისა და რგოლების მიხედვით განაწილებულია საჭირო იარაღ-მანქანები, მომარაგებულია საწვავი, ყანები მომზადებულია პურეულის ასაღებად კომბაინებით.

კარგმა ამინდმა დააჩქარა პურეულის დამწიფება. ეს გაითვალისწინეს კასპისა და წითელქალაქის მტს-ების ხელმძღვანელებმა (დირექტორები ი. ბაკურაძე და გ. არაქელოვი). მათ დაამთავრეს მოსავლის ასაღები იარაღ-მანქანების რემონტი, კასპის მტს-მა 3 კომბაინით წელს 600 ჰექტარზე უნდა აიღოს მოსავალი. ამ დავალების შესასრულებლად მტს-ის დირექტორის მოადგილემ პოლიტნაწილში ამხ. შ. დაბრუნდაშვილმა სპეციალური თათბირი მოაწყო. მტს-ის თვითეული მუშაკის წინაშე დასახულია კონკრეტული ამოცანა.

უკვე დაიწყო ქერის შერჩევით აღება. ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 40 ჰექტარზე აიღო მოსავალი, ქვემო ხანდაკის კოლმეურნეობამ „სტალინის გზით“ და ოკამის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობამ—15-15 ჰექტარზე. ქერის აღება დაიწყეს აგრეთვე საკორინთლოსა და რგვალიჭალის კოლმეურნეობებმა.

კოლმეურნეობებში მოსავლის აღების პარალელურად სწარმოებს ლეწვა და მარცვლეულის სახელმწიფოსათვის ჩაბარება. სოფელ ბოყამის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობამ პირველივე განალეწი 1.400 კილოგრამი ქერი ჩააბარა სახელმწიფოს. სოფელ ქვემო ხანდაკის კოლმეურნეობამ 27 ივნისს სახელმწიფო მიმღებ პუნქტს ჩააბარა 12 ტონა ქერი.

ვ. ბუზალაძე

ხორბლეულის მიმღები პუნქტი მზად არ არის

კოლმეურნეობები პირველ განალეწ მარცვლეულს სახელმწიფოს აბარებენ. ყოველდღიურად მოემართებიან „ზაგოტზერნოს“ წნორის მიმღებ პუნქტისაკენ ხორბლეულით დატვირთული ავტომანქანები წითელწყაროს, სიღნაღისა და ლაგოდეხის რაიონების საკოლმეურნეო მინდვრებიდან. მაგრამ მიმღებ პუნქტში (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მ. ღოღობერიძე) ყველაფერი რიგზე როდია. მერვე საწყობში, სადაც ქერის მიღება სწარმოებს, შეუკეთებელია იატაკი და კედლები, მარცვლეულთან ერთად ყრია სარემონტო მასალა—კირი, ცემენტი და აგური. ახლა მოაგონდათ ლაბორატორიისა და მეშვიდე საწყობის რემონტიც, რკინიგზის ლიანდაგის ახალი ხაზის გაყვანაც.

ხორბლის გადაზიდვა კოლმეურნეობებიდან მიმღებ პუნქტებში მოუწესრიგებელია. 24 ივნისს ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბუდიონოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ე. გრეჩნიკს პუნქტში მოტანილ 3.512 კილოგრამ ხორბალზე დააკლდა 202 კილოგრამი. ამავე რაიონის სოფელ ვამლოვანის კოლმეურნეობა ლენინის ანდერძის წევრს ფ. ჯიბლაშვილს 4 ტონა ქერი გამოატანეს ჩასაბარებლად, ფაქტიურად მან მხოლოდ 3.445 კილოგრამი ქერი ჩააბარა მიმღებ პუნქტს. ლაგოდეხის რაიონის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობიდან (თავმჯდომარე ი. მაჭარაშვილი) პ. კობერიძემ უფაქტუროდ და აუწონავად ორი ურემი ქერი მიიტანა პუნქტში, რაც არ იქნა მიღებული.

მსგავსი მდგომარეობაა წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებშიც. 23 ივნისს სოფელ მირზაანის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მიერ მოტანილ 3.175 კილოგრამ მარცვლეულს დააკლდა 140 კილოგრამი. დაუდევრობა გამოიჩინეს ამავე რაიონის ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე კ. ჩოხელი): კოლმეურნეობის წევრს ი. ხუციშვილს თითქოს 2.015 კილოგრამი ქერი გამოატანეს, შემოწმებით კი 310 კილოგრამი ზედმეტი აღმოჩნდა.

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებშიც ხშირია შემთხვევები, როცა მომტანს ან აკლდება მარცვლეული, ანდა ზედმეტი აღმოაჩნდება. არის სხვა ხასიათის ნაკლოვანებებიც. მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობა „ხირსის გლეხთა შრომას“ 2.040 კილოგრამი ქერი დაწუნებულ იქნა სინოტივის გამო. ამავე მიზეზით დაიწუნეს დაბა წნორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის 1.525 კილოგრამი ქერი.

ნაკლოვანებანი მიმღები პუნქტის მოწყობისა და მარცვლეულის გადაზიდვის საქმეში სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

გ. ყაჯრიშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მნიშვნელოვან საქმეს გულგრილად ეკიდებიან

პურის დამზადებისათვის, სუსტად ემზადება „ზაგოტზერნოს“ სტალინირის პუნქტი (დირექტორი ხ. ძაგოევი).

პუნქტს სამი საწყობი აქვს. ერთი მათგანი დაკავებულია გასული წლის მოსავლით. დანარჩენ ორ საწყობში ჯერ კიდევ არ ჩაუტარებიათ დეზინფექცია. საწყობებში გაყვანილი არ არის სინათლე, რაც დააბრკოლებს ღამით მუშაობას.

პუნქტს მხოლოდ სამი ტრიერი აქვს. აქედან ერთი სერიოზულ შეკეთებას მოითხოვს, დანარჩენი ორიც მოუვლელობისაგან დაჟანგულია.

მიმღებ პუნქტს. ერთი სატვირთო მანქანა აქვს და ისიც შესაკეთებელია, მაგრამ ამისათვის თავს არავინ იწუხებს. აქ აკლიათ აგრეთვე საფარები (ბრეზენტები). დრო არ ითმენს. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება პუნქტის სრულ წესრიგზე მოსაყვანად.

ვლ. გელაშვილი

ჯალაურთელ კოლმეურნეთა წარმატებანი

472 ჰექტარი სიმინდი, 154 ჰექტარი პურეული, 546 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმები — ასეთია სოფელ ჯალაურთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის სიმდიდრე.

ეს კოლმეურნეობა ყველაზე მოწინავეა საჩხერის რაიონში. იგი წლების მანძილზე ინარჩუნებს რაიონულ გარდამავალ წითელ დროშას. ჯალაურთა განთქმულია ბარაქიანი მოსავლით.

წელს განსაკუთრებული თავდადებით მუშაობენ ჯალაურთელი კოლმეურნეები. მათ პირობა მისცეს დიდ სტალინს უხვი მოსავალი მოიყვანონ. ჯალაურთელთა ვალდებულებაა:

ყოველ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 17 ცენტნერი სიმინდი, 10 ცენტნერი ხორბალი, 15 ცენტნერი სოია, 7 ცენტნერი ლობიო.

რა ღონისძიება განახორციელეს ჯალაურთელებმა მოსავლიანობის გასადიდებლად?

ვადამდე, მაღალხარისხოვნად და 20 ჰექტარის გადამეტებით შეასრულეს თესვის გეგმა. სიმინდის ნათესში შეიტანეს 4.800 ურემი ორგანული სასუქი. გამოყოფილია 200 სტახანოვური ჰექტარი. ორჯერ გამარგლეს პურის ყანები, სამჯერ და ოთხჯერ ფიქრობენ სიმინდის გათოხნას.

შარშან კოლმეურნეობაში 18 სტახანოვური ჰექტარი ჰქონდათ. კოლმეურნეებმა მუშანიკა ნოზაძემ, სევერიან და პოლიკტე კაპანაძეებმა ჰექტარზე 8 ცენტნერით გაადიდეს მოსავლიანობა. შარშანდელი გამოცდილება წელს ჯალაურთელებმა ფართოდ გაავრცელეს, განაზოგადეს.

სტახანოველმა კოლმეურნემ კომუნისტმა ამხ. 5 დოლაძემ შარშან ერთი ჰექტარი სტახანოვური ნაკვეთი დაამუშავა და მოსავლიანობის გეგმა 150 პროცენტით შეასრულა. წელს იგი ორ ჰექტარ სიმინდს უვლის და ჰექტარზე 30 ცენტნერი სიმინდის მოყვანას ჰპირდება. ამ პირობას კიდეც შეასრულებს. გამრჯე კოლმეურნემ დროულად დაბარა თავისი ნაკვეთი, შეიტანა ნიადაგში სასუქი, კარგად დახნა და ორჯერ დაფარცხა, ამხ. დოლაძემ უკვე ორჯერ გათოხნა ნათესი და ორჯერ კიდევ გათოხნის. მას გათვალისწინებული აქვს აგრეთვე ნაკვეთი მორწყას წუნწუხით.

კოლმეურნეობაში თავდადებული შრომით გამოირჩევიან მეორე, მეექვსე და მეცხრე ბრიგადები, რომლებსაც დ. ბუღაძე, შ. მაჭავარიანი და დ. კაპანაძე ხელმძღვანელობენ. ამხ. დ. ბუღაძის ბრიგადამ 65 ჰექტარი სიმინდი დათესა. აქედან 6 ჰექტარი სტახანოვურია და თვითეულ ჰექტარზე 30 ცენტნერ სიმინდს მოიყვანენ, ხოლო დანარჩენი 59 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 12 ცენტნერს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერისა. ასეთივე ვალდებულებანი იკისრეს ამხ. შ. მაჭავარიანის, დ. კაპანაძისა და ა. ნოზაძის ბრიგადებმა. ისინი თავდადებულად მუშაობენ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად — ვადამდე და მაღალხარისხოვნად ამუშავებენ ნათესს.

მაღალი მოსავლისათვის შეუპოვრად მუშაობენ მერგოლეურები ს. იაკობიძე, ს. კაპანაძე, სტახანოველი კოლმეურნეები: ა. ასანიძე, ს. კაპანაძე, გ. ნოზაძე, ნ. ცარციძე, ა. ბუღაძე, კომკავშირელები თინა ცარციძე და ანდრო ცარციძე და სხვ. კომკავშირელმა თინა ცარციძემ ერთი ჰექტარი სტახანოვური ნაკვეთი აიღო და იბრძვის 25 ცენტნერი სიმინდის მისაღებად. ა. ცარციძემ 15 სამუშაო დღეში 1,9 ჰექტარის ნაცვლად 4 ჰექტარი დახნა და დათესა. ასევე 200 და მეტი პროცენტით ასრულებს იგი ნათესის დამუშავების გეგმას.

კოლმეურნეობა მოემზადა თავთავიანი კულტურების მოსავლის ასაღებად. მალე მკა გაჩაღდება.

თუ ჯალაურთის კოლმეურნეობა საჩხერეში ყველაზე მოწინავეა, თუ აქ მაღალ მოსავალს იღებენ, ეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ი. ბუღაძის ენერგიული, გონივრული ხელმძღვანელობითაც აიხსნება. ამიტომ დაიმსახურა მან მთავრობის სამი ჯილდო.

ჯალაურთელები ახალი წარმატებებისათვის იბრძვიან.

შ. ნოზაძე
პ. ჭიოკაძე
„კომუნისტის“ კორესპონდენტები

სსრ კავშირის, საფრანგეთისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი

პარიზი, 30 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს შესდგა სსრ კავშირის, საფრანგეთისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრების მორიგი თათბირი. თათბირი დაიწყო 18 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის დროით და 3 საათს გაგრძელდა.

შემდეგი სხდომა შესდგება ხვალ.

პარიზი, 30 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სამი მინისტრის თათბირზე ბევინმა შეიტანა წინადადება, რომელიც წარმოადგენს ბიდოს წინანდელი წინადადების უბრალო, თუმცა უფრო მოკლე, გამეორებას. ბიდოს წინადადების წინააღმდეგ თავიდანვე გამოვიდა საბჭოთა დელეგაცია.

ბევინის პროექტში, ისევე როგორც საფრანგეთის წინანდელ პროექტში, მთავარი ყურადღება ეთმობა იმას, რომ შეიქმნას „ხელმძღვანელი კომიტეტი ალდგენის პროგრამის შესადგენად, რომელიც მოახდენს ევროპის ქვეყნების საჭიროებათა კოორდინირებას უახლოესი ოთხი წლის მანძილზე“. ამრიგად, წინადადებაა შეტანილი, რომ დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და საბჭოთა კავშირმა იკისრონ ინიციატივა ყოვლისშემცველი ეკონომიური პროგრამის შესადგენად ევროპის ყველა ქვეყნისათვის, რათა ეს პროგრამა შემდეგ წარედგინოს შეერთებულ შტატებს, რომლებიც, ბევინისა და ბიდოს განცხადებით, უამისოდ თანახმა არ არიან განიხილონ ევროპის სახელმწიფოებისათვის კრედიტების მიცემის საკითხი.

რას ნიშნავს ასეთი სურვილი, რომ შედგენილ იქნას ეკონომიური პროგრამა მთელი ევროპისათვის სამი სახელმწიფოს ხელით, თუნდაც ევროპის ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მონაწილეობით? ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს სურთ ევროპის სხვა სახელმწიფოების კონტროლქვეშ დააყენონ ბრიტანეთის ან საფრანგეთის ეკონომიკა.

მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, არ არიან იმის წინააღმდეგი, რომ შეთანხმდნენ ევროპის სხვა ქვეყნებზე კონტროლის დაწესების შესახებ და ეგრეთწოდებული „ხელმძღვანელი კომიტეტის“ მეშვეობით სცადონ ამ ქვეყნების ეკონომიკის შეგუება თავისი მოთხოვნებისა და სურვილებისათვის, აგრეთვე იმ მოთხოვნებისათვის, რომლებსაც აყენებენ ამ მხრივ ამერიკის შეერთებული შტატები.

როგორც ცნობილია, ევროპის ქვეყნების უმეტესობას არა აქვს რაიმე საერთო სახელმწიფო ეკონომიური პროგრამა.

საბჭოთა კავშირს თავისი ხუთწლიანი გეგმით, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საერთო სახელმწიფო ეკონომიური პროგრამა არა აქვს არც თვით დიდ ბრიტანეთს, არც საფრანგეთს, რამდენადაც ზოგიერთი წრეების მიერ რეკლამირებული „მონეს გეგმა“ საფრანგეთში მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ევროპის მხოლოდ ზოგიერთი ქვეყანა შეუდგა ახლა თავისი სახალხო მეურნეობის დაგეგმვას და მოიპოვება საერთო სახელმწიფო ეკონომიური პროგრამა ორი, სამი და ხუთი წლის ვადით. ასეთი მდგომარეობის პირობებში საერთო ევროპული პროგრამის შედგენას, რომელსაც ევროპის ბევრი ქვეყნის ეკონომიური განვითარების კოორდინაციის პრეტენზია ექნება, საფუძვლიანი ნიადაგი არ მოეპოვება.

მაგრამ თუ საერთო ევროპულ ეკონომიურ პროგრამაზე ლაპარაკი უფრო სიტყვის მასალაა, „ხელმძღვანელი კომიტეტის“ შექმნას ასეთი ფართო მიზნებით შეიძლება სავსებით გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს, ასეთი „ხელმძღვანელი კომიტეტის“ შექმნა გათვალისწინებულია იმისათვის, რომ აიძულონ ევროპის სახელმწიფოები ანგარიში ჩააბარონ მათი ეკონომიური რესურსებისა და ამ რესურსების გამოყენების შესახებ, რათა აიძულონ ეს სახელმწიფოები ისეთი ეკონომიური პოლიტიკა გაატარონ, რომელიც ხელსაყრელია ინგლისისა და საფრანგეთისათვის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, თუნდაც ეს არ შეესაბამებოდეს ამ სახელმწიფოთა ნაციონალური ეკონომიკის განვითარების ინტერესებს.

ზემოქმედების საშუალებად სურთ გამოიყენონ ამერიკის კრედიტები და ეს კრედიტები გახადონ მცირე სახელმწიფოთა მისატყუებელ საშუალებად.

ახლა მრავალ მაღალფარდოვან ფრაზას წარმოსთქვამენ, რომ ბევინ-ბიდოს პროექტი წარმოადგენს, როგორც საკეთილო ევროპის სახელმწიფოებისათვის. ამ პროექტის მიზანი კი მარტივია — დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში არსებული ეკონომიური სიძნელეები სურთ აიცილონ არა საკუთარი ხარჯით, მაშინ აუცილებელი გახდებოდა საკუთარი მდიდარი კლასების ქისას შეხებოდნენ, არამედ „მცირეთა“ ხარჯზე, ესე იგი, ევროპის მცირე სახელმწიფოთა ხარჯზე. როგორც ჩანს, ინგლის-საფრანგეთის პოზიცია ამ შემთხვევაში ემთხვევა ატლანტიკის გაღმა რესპუბლიკის პოლიტიკას.

ახლა ცოტას როდი ლაპარაკობენ იმაზეც, რომ ინგლის-საფრანგეთის წინადადება საერთო ევროპული ეკონომიური პროგრამის შესახებ სრულიადაც არ არის მიმართული ევროპის სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევისაკენ და არ ეხება მათ სუვერენიტეტს. მაგრამ, უნდა ვილოდეთ, რომ ასეთ შემთხვევებში სიტყვებსა და დაპირებებს არ იშურებენ. ხოლო ფაქტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქმის ვითარება სულ სხვანაირია.

ამას წინათ გამოქვეყნდა საბერძნეთ-ამერიკის შეთანხმება.

ეს შეთანხმებაც იწყება სიტყვებით საბერძნეთის სუვერენიტეტის აღიარების შესახებ. ნამდვილად კი საბერძნეთ-ამერიკის შეთანხმების შემდეგ საბერძნეთის სუვერენიტეტისაგან მოგონებაღა დარჩა; საბერძნეთის ბატონი კი ამერიკის მისია გახდა.

სულ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა იმ შეთანხმების შინაარსი, რომელიც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ავსტრიისათვის კრედიტების მიცემას. ამ შემთხვევაშიც ავსტრიის მთავრობა ექცევა ამერიკის კონტროლიორების დამოკიდებულებაში, თუმცა ამერიკის წარმომადგენლები ცოტას როდი ლაპარაკობენ ავსტრიის დამოუკიდებლობისათვის ზრუნვაზე.

ყოველივე ეს გასაგებს ხდის, თუ რატომ არ დაეთანხმა საბჭოთა დელეგაცია ბევინ-ბიდოს პროექტს.

ევროპისათვის ყოვლისშემცველი ეკონომიური პროგრამის შედგენის მიზნით „ხელმძღვანელი კომიტეტის“ შექმნის პროექტის ნაცვლად, საბჭოთა დელეგაციამ სხვა წინადადება წამოაყენა. მან უარყო ევროპული ქვეყნებისათვის ეკონომიური პროგრამის შემუშავების გეგმა, რაც იწვევს ცალკე სახელმწიფოებისათვის ევროპის ზოგიერთი ძლიერი სახელმწიფოს ნების თავზე მოხვევას და მოასწავებს მცირე ქვეყნების საშინაო საქმეებში ძლიერი სახელმწიფოების ჩარევას.

საბჭოთა დელეგაციამ წინადადება წამოაყენა შეიქმნას ხელშემწყობი კომიტეტი სამი დიდი სახელმწიფოს და რამდენიმე მცირე ქვეყნის მონაწილეობით. მისი პროექტით ხელშემწყობმა კომიტეტმა უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად ესაჭიროებათ ევროპის ქვეყნებს ამერიკის ეკონომიური დახმარება და ხელი შეუწყოს მათ ასეთი დახმარების მიღებაში, რამდენადაც მარშალის 5 ივნისის ცნობილ განცხადებაში გათვალისწინებული იყო ევროპის ქვეყნებისათვის ამერიკის ეკონომიური დახმარების გაწევის შესაძლებლობა.

საბჭოთა პროექტი გამორიცხავს ევროპის მცირე სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ძლიერი სახელმწიფოების ჩარევის შესაძლებლობას. ეს პროექტი გათვალისწინებულია იმ შემთხვევისათვის, თუ შეერთებულ შტატებს ნამდვილად აქვთ განზრახული ეკონომიური დახმარება გაუწიონ ევროპის ქვეყნებს ამ ქვეყნების ნაციონალური ეკონომიკის აღდგენის მიზნით.

სწორედ ეს წინადადება ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიური აღდგენის დაჩქარებას და შეესაბამება ევროპის ხალხების ნამდვილ ინტერესებს.

ინგლისის წინადადებანი

პარიზი, 30 ივნისი. (საკდესი). აქ ცნობილია, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბევინმა ვ. მ. მოლოტოვსა და ჟ. ბიდოს გაუგზავნა ტექსტი ინგლისის წინადადებებისა ევროპის ქვეყნებისათვის ეკონომიური დახმარების შესახებ.

ინგლისის დელეგაციის წინადადებანი ასეთია.

1. დაუყოვნებლივ შეიქმნება ხელმძღვანელი კომიტეტი აღდგენის პროგრამის შესადგენად, რომელიც მოახდენს ევროპის ქვეყნების საჭიროებათა კოორდინირებას უახლოესი ოთხი წლის მანძილზე; და რომელიც განხილულ იქნება ევროპის ქვეყნების მთავრობების მიერ და წარედგინება შეერთებულ შტატებს.

2. ამ პროგრამაში აღნიშნული იქნება:

a) რა მასშტაბით შეიძლება განხორციელდეს ეს დახმარება თვით ევროპის ქვეყნების წარმოების გადიდებისა და მათ შორის არსებული რესურსების გაცვლის გზით;

b) რა დახმარებას საჭიროებენ გარედან ევროპის ქვეყნები.

ეს დახმარება გაწეული იქნება კაპიტალური მოწყობილობით, რათა შესაძლებელი გახდეს წარმოების გადიდება, აგრეთვე ძირითადი საქონლით, როგორიცაა სურსათი და ქვანახშირი, რომ ხელი შეეწყოს ევროპის ეკონომიურ ცხოვრებას შინაგანი წარმოების გადიდების პერიოდში.

3. ხელმძღვანელ კომიტეტში შევლენ საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს და სსრ კავშირის წარმომადგენლები, აგრეთვე სულ ბევრი ოთხი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები. მას კავშირი ექნება ევროპის ყველა ქვეყნის (ესპანეთის გარდა) მთავრობებთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან და ყოველ სხვა შესაბამის სამთავრობათაშორისო ორგანიზაციასთან. ყოველგვარი კონსულტაცია გერმანიის შესახებ განხორციელდება მთავარსარდლების მეშვეობით.

4. ხელმძღვანელი კომიტეტი, ბ-ნ მარშალის წინადადების შესაბამისად, შეეცდება ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მიიღოს მეგობრული დახმარება პროგრამის შემუშავების საქმეში.

5. შეიქმნება აგრეთვე ქვეკომიტეტები ხელმძღვანელი კომიტეტისათვის მოხსენებათა წარსადგენად შემდეგ საკითხებზე:

1. სურსათი და სოფლის მეურნეობა.

2. ქვანახშირი და სათბობისა და ენერგიის სხვა სახეები.

3. რკინა და ფოლადი.

4. ტრანსპორტი.

ქვეკომიტეტებში შევა წევრთა მცირე რიცხვი იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ყველაზე უფრო უშუალოდ არიან დაინტერესებულნი თვითეულ ცალკე შემთხვევაში. საგადასახდელო ბალანსისა და ნედლეულის საკითხები უნდა განიხილოს თვითონ ხელმძღვანელმა კომიტეტმა.

6. ხელმძღვანელმა კომიტეტმა და ქვეკომიტეტებმა მუშაობა უნდა დაიწყონ დაუყოვნებლივ და დაამთავრონ 15 აგვისტოს.

ხელმძღვანელი კომიტეტის მოხსენება მას შემდეგ, რაც მას ევროპის დაინტერესებული ქვეყნები მიიღებენ, იქნება ის პროგრამა, რომლის შედგენაც წამოაყენა ბ-ნმა მარშალმა, და შემდეგ გაეგზავნება შეერთებული შტატების მთავრობას.

ვ. მ. მოლოტოვის წინადადება სამი მინისტრის თათბირზე

პარიზი, 30 ივნისი. (საკდესი). როგორც ცნობილი გახდა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა სამი მინისტრის პარიზის თათბირზე შეიტანა შემდეგი წინადადება:

საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპის ქვეყნების ომით დანგრეული ნაციონალური ეკონომიკის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ამოცანას და სთვლის, რომ ამ ამოცანის შესრულება გაადვილდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ ეკონომიური დახმარების აღმოჩენით, რომლის შესახებაც განცხადება გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბ-ნმა მარშალმა 5 ივნისს.

თათბირს მიაჩნია, რომ მის ამოცანას არ წარმოადგენს ევროპის ქვეყნებისათვის ყოვლისშემცველი ეკონომიური პროგრამის შედგენა, ვინაიდან ევროპისათვის ასეთი ეკონომიური პროგრამის შედგენა სამი დიდი სახელმწიფოს მიერ, თუნდაც ზოგიერთი სხვა ქვეყნის მონაწილეობით, აუცილებლად გამოიწვევდა ევროპის სხვა ქვეყნებისათვის ევროპის ძლიერი სახელმწიფოების ნების თავზე მოხვევას და იქნებოდა ჩარევა ამ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში და მათი სუვერენიტეტის დარღვევა. ევროპისათვის ასეთი ყოვლისშემცველი ეკონომიური პროგრამის შედგენის ცდები მით უფრო დაუშვებელია, რომ ეს გამოიწვევდა ევროპის ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიური ურთიერთობის დარღვევას და წარმოშობდა დიდ უთანხმოებას მათ ურთიერთობაში, რაც გააძნელებდა ევროპის ქვეყნებს შორის ეკონომიური თანამშრომლობის ესოდენ საჭირო შემდგომ განვითარებას.

ზემოხსენებულის შესაბამისად საგარეო საქმეთა სამი მინისტრის თათბირს მიზანშეწონილად მიაჩნია:

1. იმ მიზნით, რომ გამოარკვეს, თუ რამდენად ესაჭიროებათ ევროპის ქვეყნებს ამერიკის ეკონომიური დახმარება, რომ გამოარკვეს ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ ასეთი დახმარების შესაძლო გაწევა და იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ევროპის ქვეყნებს ამ დახმარების მიღებაში, შეიქმნას ხელშემწყობი კომიტეტი საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენელთა შემადგენლობით და შემდეგ მისი შემადგენლობა შეივსოს ევროპის ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებით.

2. ხელშემწყობ კომიტეტთან შეიქმნას შემდეგი ქვეკომიტეტები:

a) სურსათისა,

b) სათბობისა,

c) მოწყობილობისა.

ქვეკომიტეტების შემადგენლობაში, სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლების გარდა, უნდა შევიდნენ აგრეთვე ამ ქვეკომიტეტის მუშაობით განსაკუთრებით დაინტერესებული ორი ევროპული სახელმწიფოს წარმომადგენლები იმ ქვეყნების რიცხვიდან, რომლებმაც გერმანიის ოკუპაცია განიცადეს და დახმარება აღმოუჩინეს მოკავშირეების საერთო საქმეს მტერზე გამარჯვებაში.

ყოფილი მტრული ქვეყნები ქვეკომიტეტებს შეუძლიათ მოიწვიონ საკონსულტაციოდ.

გერმანიის საკითხი უნდა განიხილოს ოთხმა სახელმწიფომ: დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

3. ხელშემწყობი კომიტეტის ამოცანებს წარმოადგენს:

A) ევროპის ქვეყნებისაგან განაცხადების მიღება მათთვის საჭირო ამერიკული ეკონომიური დახმარების შესახებ.

B) ამ განაცხადთა საფუძველზე შეჯამებული პროგრამის შედგენა იმ ვარაუდით, რომ პირველ რიგში გათვალისწინებულ იქნას იმ ქვეყნების საჭიროება, რომლებიც გერმანიის აგრესიისაგან დაზარალდნენ და რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს მოკავშირეთა გამარჯვების საქმეში.

C) ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ შესაბამისი ეკონომიური დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობის გამორკვევა.

4. ხელშემწყობი კომიტეტი ურთიერთობასამყარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიურ კომისიასთან მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად.

ამერიკის კომენტარები სამი მინისტრის თათბირის გამო

პარიზი, 30 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). პრესაში უკანასკნელ დღეებში სსრ კავშირის, საფრანგეთისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის გარშემო დაბეჭდილ მრავალ ოფიციოზურ და ნახევრად ოფიციოზურ გამოსვლათა შორის შეუმჩნეველი არ დარჩა ორი გამოსვლა: ამერიკის ლონდონელი ელჩის დუგლასის სიტყვა, რომელიც მან 26 ივნისს წარმოსთქვა, და პარიზის თათბირის კომენტარები, რომლებიც მოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების პარიზის საელჩოს ოფიციალურ ბიულეტენში. ორივე ეს დოკუმენტი რამდენადმე ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წრეების თვალსაზრისს, ვინაიდან პირველ შემთხვევაში საქმე ეხება ამერიკის დიპლომატის გამოსვლას, მეორეში კი — ამერიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის ორგანოს.

უნდა აღინიშნოს, რომ დუგლასის სიტყვაც და ამერიკის შეერთებული შტატების პარიზის საელჩოს ბიულეტენიც გამოდიან, როგორც დუგლასმა გამოსთქვა, ერთი საერთო გზიდან. ევროპის „რეკონსტრუქციის“ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს ევროპის მიერ მისი პასუხისმგებლობის შეგნება „კოორდინირებული და ყოვლისშემცველი პროგრამის“ ჩამოყალიბებისათვის.

დუგლასის კვალდაკვალ მიმდევარი ამერიკის შეერთებული შტატების პარიზის საელჩოს 27 ივნისის ბიულეტენი ულტიმატიური ტონით მოითხოვს ევროპის ერებისაგან, რომლებიც მარშალის გეგმას იღებენ, არა მარტო შეიმუშაონ ეკონომიური თანამშრომლობის ერთობლივი პროგრამა, არამედ „კიდევაც გააერთიანონ თავიანთი რესურსები, მოსპონ ეკონომიური ბარიერები და გამოიანგარიშონ თავიანთი საჭიროებანი კონტინენტურ საფუძველზე“.

ამგვარად შემუშავებული პროგრამა „უნდა“ წარედგინოს განსახილველად შეერთებულ შტატებს.

გამოურკვეველია, რას გულისხმობს დუგლასი მაღალფარდოვანი სიტყვებით „ევროპის რეკონსტრუქცია“, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, სავსებით აშკარაა, რომ პარიზის თათბირი მოწოდებული არ არის შეადგინოს ევროპის ეკონომიური აღდგენის რაიმე ყოვლისშემცველი გეგმა. ამისათვის საფუძვლიანი მიზეზები არსებობს.

ჯერ ერთი, პარიზის თათბირი მოწვეული იყო არა იმისათვის, რომ მოეხდინა ევროპის ეკონომიური ცხოვრების საერთო დაგეგმვა, არამედ იმისათვის, რომ განეხილა მარშალის სიტყვაში გათვალისწინებული ამერიკის წინადადებანი და გამოერკვია ევროპის იმ სახელმწიფოებისათვის ამერიკის კრედიტების მიცემის პირობები, რომლებიც დაინტერესებული არიან ასეთი კრედიტებით.

მეორე, ეკონომიური დაგეგმვა ყოველ ქვეყანაში და ეკონომიური პროგრამის შემუშავება ეკუთვნის თვით ამ ქვეყნის სუვერენულ უფლებებს. არ შეიძლება, მაგალითად, რომელიმე სუვერენულ სახელმწიფოს გარედან ვუკარნახოთ ისე, რომ არ დავარღვიოთ მისი უფლებები და ინტერესები, თუ რამდენი პური უნდა მოიყვანოს ამ სახელმწიფომ, ან რამდენი ქვანახშირი მოიპოვოს, ან რა რაოდენობის გარკვეული სახის ნედლეული ან საქონელი უნდა შემოიტანოს და გაიტანოს. არ შეიძლება აიკრძალოს ან შეიზღუდოს სუვერენული სახელმწიფოს უფლება — თვითონ განაგებდეს თავის ბუნებრივ რესურსებს. სხვა სახელმწიფოსათვის გარკვეული ეკონომიური ნორმების ან პროპორციების თავზე მოხვევა იქნებოდა ისეთი ჩარევა მის საშინაო საქმეებში, რომელიც ამ სახელმწიფოს აუცილებლად ჩააყენებდა არათანასწორ დამოკიდებულ მდგომარეობაში. ევროპის ეკონომიური პროგრამის შემუშავების შესახებ რა კეთილშობილური საბაბითაც არ უნდა მოვახვიოთ რომელიმე ქვეყანას წარმოებისა და გაცვლის გარკვეული პირობები, ეს აუცილებლად შეზღუდავს მის დამოუკიდებლობას და შებოჭავს მოქმედების თავისუფლებას სამი სახელმწიფოს მიმართ, რომლებიც წინასწარ იძულებით იქნებოდნენ განსაზღვრულნი „ასეთი პროგრამით“ მას მყიდველებად ან მიმწოდებლებად. ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ უფრო სუსტი ქვეყნები, თუ ისინი დადგებოდნენ იმის აუცილებლობის წინაშე, რომ თავიანთი ეკონომიური ცხოვრება შეეგუებინათ უნივერსალური პროგრამისათვის, რომელიც გამოხატავს უფრო ძლიერი სახელმწიფოების მოთხოვნილებებს ან საჭიროებებს, რომელთა პოლიტიკას სინამდვილეში მძლავრი კაპიტალისტური მონოპოლიები განსაზღვრავენ.

გაზეთ „მონდის“ უცნაური ბრალდებები

პარიზი, 30 ივნისი. (საკდესი). პარიზის გაზეთი „მონდი“ 30 ივნისს გამოვიდა ბრალდებით საბჭოთა სააგენტოს საკდესის მიმართ, თითქოს საკდესმა „მოურიდებლობა გამოიჩინა“ და დაარღვია რა შეთანხმება სამი მინისტრის პარიზის თათბირის მასალების გამოუქვეყნებლობის შესახებ, 29 ივნისს გამოაქვეყნა პარიზის თათბირზე საბჭოთა პოზიციის შინაარსი.

ეს ბრალდება საკდესის წინააღმდეგ მხოლოდ იმის ცდაა, რომ ბრალი სხვას მოახვიონ თავს. საქმე ის არის, რომ 28 ივნისს დილით პარიზის გაზეთმა „ობმა“, ინგლისის რეიტერის სააგენტოს დამოწმების საფარით, გამოაქვეყნა ყოველივე არსებითი, რასაც კი შეიცავდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბიდოს სიტყვები და წინადადებანი სამი მინისტრის პირველ სხდომაზე. ამავე დღეს ზემოაღნიშნულმა გაზეთმა „მონდმა“, რომელიც საღამოს გამოდის, მოათავსა ასეთივე კორესპონდენცია ბიდოს ამ გამოსვლის შესახებ. ამავე დროს, როგორც გაზეთ „ობს“, ისე გაზეთ „მონდს“ ერთი სიტყვითაც არ უხსენებიათ საბჭოთა პოზიცია, რომელიც გამოცხადებულ იქნა იმავე სხდომაზე, ხოლო საფრანგეთის მრავალი გაზეთის ცნობები საბჭოთა მთავრობის პოზიციის აშკარად დამახინჯებულად სახავდნენ.

ასეთ მდგომარეობაში საკდესს არ შეეძლო გვერდი აევლო იმისათვის, რომ საფრანგეთის გაზეთებმა და ინგლისის რეიტერის სააგენტომ ფაქტიურად არ დაიცვეს შეთანხმება პარიზის თათბირის მასალების გამოუქვეყნებლობის შესახებ და იძულებული იყო გამოექვეყნებინა ზუსტი ინფორმაცია საბჭოთა პოზიციის ნამდვილი ხასიათისა და შინაარსის შესახებ.

ანდრე სიმონი საფრანგეთში არსებული მდგომარეობის შესახებ

პრაღა, 30 ივნისი. (საკდესი). ცნობილმა პუბლიცისტმა და მწერალმა ანდრე სიმონმა, რომელმაც ამას წინათ იმოგზაურა საფრანგეთში, ჟურნალ „ტვორბაში“ გამოაქვეყნა „საფრანგეთის შინაპოლიტიკური მდგომარეობისადმი“ მიძღვნილი სტატია.

— რა არის ეს, კოშმარული სიზმარი თუ სინამდვილე? — სწერს სიმონი, — სწორედ იგივე კომუნისტური „საფრთხობელები“ როგორც ამ ათი წლის წინათ. გაზეთში პოლ რეინომი იმასვე სწერს, რასაც 10 წლის წინათ სწერდა. გიამბობენ, როგორც წინათ, სკანდალურ ანეგდოტებს, მაგალითად, იმაზე, თუ ერთმა მინისტრმა როგორ მიიღო ორდერით 35 ავტომობილი და შემდეგ ისინი შავ ბაზარზე გაყიდა. 1947 წლის ივნისის საფრანგეთი მოგაგონებთ საფრანგეთს მიუნხენის წინადღეს, დალადიეს საფრანგეთს. როგორც წინათ, სწერს შემდეგ სიმონი, გრძელდება ბრძოლა ძველ და ახალ საფრანგეთს შორის. ეს ბრძოლა მიმდინარეობს მორალური კრიზისის ან უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური სიძნელეების ვითარებაში. მონოპოლიები და ტრესტები განაგრძობენ თავიანთ შავბნელ საქმეს. მიუნხენის მომხრეები დალადიეს მეთაურობით განაგრძობენ მტკიცებას, რომ ერთადერთი მტრები არიან საბჭოთა კავშირი და კომუნისტები. აშკარად მოქმედებენ ვიშელები, რომლებიც ქებათაქებას ასხამენ პეტენის რეჟიმს.

პარადოქსალურია, მაგრამ ფაქტია, სწერს სიმონი, რომ ყველაზე მეტ იმედს მიუნხენელები და პეტენელები ამყარებენ დე გოლზე, რომელიც პირველ მსოფლიო ომში პეტენის წინააღმდეგ გამოდიოდა. ახლა კი დე გოლი გამსჭვალულია იმავე ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური სულისკვეთებით, როგორითაც გამსჭვალული იყო მოხუცი მარშალი. სოციალისტ ბლუმის რჩევა მიმართულია პარლამენტიდან კომუნისტების გარიცხვისაკენ. მარშალის სიტყვის წინა დღეს, როცა მან ქვეყანას აუწყა ევროპისათვის დახმარების თავისი გეგმა, ბლუმი სწერდა, რომ ევროპის აღდგენა საჭიროა განხორციელდეს საბჭოთა კავშირის მიერ მონაწილეობის მიუღებლად. ბლუმს არა სურს, რომ დე გოლი ხელისუფლების სათავეში დაბრუნდეს, მაგრამ მხარს უჭერს მის ანტიკომუნისტურ პოლიტიკას. ამასთან ცდილობს ეს გააკეთოს თვით დე გოლის მიერ მონაწილეობის მიუღებლად. ბლუმზე ამბობენ, მან ვერაფერი ვერ ისწავლა და ვერაფერი ვერ გადაიღო. როდესაც ბლუმი მიუნხენის პერიოდში სოციალისტებს მოუწოდებდა — ხმა მიეცით მიუნხენის ხელშეკრულების მოწონებასო, ამით იგი ახორციელებდა პეტენის პოლიტიკას, ფრანკო ფაშისტების პოლიტიკას. მაგრამ საქმე იმით დამთავრდა, რომ პეტენი ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში, ხოლო ბლუმს საკონცენტრაციო ბანაკში პატიმრობა მიუსაჯეს. ბლუმის ახლანდელ პოლიტიკას არ შეუძლია უკეთესი შედეგი მოიტანოს მისთვის. დე გოლი რომ ხელისუფლებას ჩაუდგეს სათავეში, იგი არ დაკმაყოფილდება მარტო კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლით, იგი უფრო მეტს გააკეთებს, ვინაიდან დე გოლი მოითხოვს სპეციალური რეჟიმის დამყარებას.

კრიზისმა, განაგრძობს სიმონი, მოიცვა საფრანგეთის საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების ყველა დარგი. მატულობს საფრანგეთის კაპიტალის გატანა საზღვარგარეთ. ძლიერდება ინფლაცია. ფასები მატულობს, დოლარი შავ ბაზარზე 220-290 ფრანკი ღირს, ეს ერთიორად და უფრო აღემატება ოფიციალურ კურსს. შავი ბაზარი თავისთავად ნაგულისხმევი მოვლენა გახდა. ბლუმის ექსპერიმენტი ფასების შემცირების საქმეში მთლიანად ჩაიფუშა. უფრო მეტიც. ახლანდელი მთავრობის ახალი საფინანსო ღონისძიებანი იწვევენ პურის, თამბაქოს და სხვა საქონლის ფასების მომატებას.

დასასრულ სიმონი სწერს, რომ მდგომარეობა საფრანგეთში არც თუ ისე შავბნელია, როგორც პირველი შეხედვით გვეჩვენება. აქტიურ ბრძოლას დემორალიზაციის, რეაქციის წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ მიუნხენი არ განმეორდეს, ეწევა მუშათა მოძრაობა. ამ ბრძოლას, სწერს სიმონი, ეწევიან კომუნისტები და პროფკავშირული ორგანიზაციები. ახლანდელი ვითარება იმით განირჩევა მიუნხენის ვითარებისაგან, რომ კომუნისტებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 30 პროცენტმა, მაშინ როცა წინათ 15 პროცენტი არ ყოფილა. სოციალისტურ პარტიაში ძლიერდება ოპოზიცია ბლუმის პოლიტიკის წინააღმდეგ.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 28 ივნისი. (საკდესი). უშიშროების საბჭომ თავის გუშინდელ საღამოს სხდომაზე განაგრძო საბერძნეთის ჩრდილოეთ საზღვრებზე შექმნილი სიტუაციის გამომკვლევი კომისიის მოხსენების განხილვა.

საბჭოს გუშინდელი დილის სხდომაზე უკანასკნელად გამოსულმა ალბანეთის წარმომადგენელმა კერჯიმ უარჰყო საბერძნეთის მთავრობის მიერ წამოყენებული ბრალდებანი და განაცხადა, რომ ალბანელი ხალხი არასოდეს არ ცდილა შექმნა უთანხმოება თავის მეზობლებთან, მაგრამ მუდამ იძულებული იყო დაეცვა თავი ბერძენი იმპერიალისტების პრეტენზიებისაგან. მან ბრალად დასდო საბერძნეთის მთავრობას, რომ იგი აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებს ალბანეთის წინააღმდეგ ბერძენი მილიტარისტების მიერ საზღვრების გადასინჯვის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ერთ-ერთმა ორატორმა გუშინდელ სხდომაზე — ბულგარეთის წარმომადგენელმა ნევორაზმა განაცხადა, რომ საბერძნეთის მთავრობის მიერ ბულგარეთის წინააღმდეგ წარდგენილი ეგრეთწოდებული დამამტკიცებელი საბუთები ლიტონი მტკიცებაა, რაც ფაქტებს არ ემყარება. ნევორაზმა განაცხადა, რომ არ ყოფილა წარმოდგენილი იმის დამამტკიცებელი რაიმე საბუთი, რომ ბულგარეთი თავის ბანაკებში ბერძენ პარტიზანებს წვრთნიდა. მან დაჟინებით მოითხოვა, რომ უშიშროების საბჭომ დაუსაბუთებლად გამოაცხადოს საბერძნეთის ბრალდება ბულგარეთისადმი იმაში, რომ ბულგარეთი იარაღს აწვდიდა პარტიზანებს. ნევორაზი დაჟინებით მოითხოვდა, რომ უშიშროების საბჭომ სპეციალურად აღნიშნოს საბერძნეთის ბრალდების დაუსაბუთებლობა, რომ ბულგარეთი თითქოს ხელს უწყობს იუგოსლავიაში გაჩაღებულ კამპანიას საბერძნეთის მაკედონიის შეერთების სასარგებლოდ.

იუნრრას გენერალური დირექტორის რუქსის განცხადება

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკდესი). ევროპაში იუნრრას მისიის მოღვაწეობის დამთავრებასთან დაკავშირებით, იუნრრას გენერალურმა დირექტორმა რუქსმა პრესის წარმომადგენლებისადმი გაკეთებულ განცხადებაში შეაჯამა შედეგები იუნრრას მოღვაწეობისა 1943 წელს მისი შექმნის მომენტიდან. რუქსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ეკონომიკის ომისშემდგომი აღდგენა და თავიდან აშორებული არ არის შიმშილი, და განაცხადა, რომ მაინც არ უნდა შევამციროთ იუნრრას, როგორც ფაქტი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმატებითი მუშაობის თვალსაჩინო მაგალითი, რომელიც 40 ქვეყნის წარმომადგენელთაგან შესდგება.

რუქსმა აღნიშნა, რომ ოპერაციების დამთავრების მომენტისათვის იუნრრას მიწოდებანი 17 ქვეყანაში შეადგენს დაახლოებით 3 მილიარდი დოლარის ღირებულების 25 მილიონ ტონას. თუმცა ამ მიწოდებათა ძირითად ნაწილს, დასძინა რუქსმა, აუცილებლობის გამო შეადგენს სურსათი, 450 მილიონი დოლარი დაიხარჯა სატვირთო მანქანებზე, ლოკომოტივებზე, გენერატორებზე და სხვა. დაახლოებით 200 მილიონი დოლარი დაიხარჯა სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობის, თესლეულისა და სასუქების შესაძენად.

რუქსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპის აღდგენა ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული, და განაცხადა, რომ ამჟამად საჭიროა გაორკეცდეს ღონისძიებანი იუნრრას მიერ შესრულებული მუშაობის შესანარჩუნებლად და გასაფართოებლად.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წერილი ინდონეზიის რესპუბლიკისა და ჰოლანდიისადმი

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ბატაველი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა 28 ივნისს წინადადება მისცა ინდონეზიის რესპუბლიკას „შეუფერხებლად დაიწყოს თანამშრომლობა დროებითი ფედერალური მთავრობის დაუყოვნებლივ შესაქმნელად". სახელმწიფო დეპარტამენტი შეჰპირდა საფინანსო დახმარების გაწევას მას შემდეგ, რაც ეს მთავრობა შეიქმნება.

ვაშინგტონი, 30 ივნისი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა დაადასტურა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ბატაველი კორესპონდენტის ცნობა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წერილი გაუგზავნეს ინდონეზიის მთავრობას წინადადებით „დაუყოვნებლივ დაიწყოს თანამშრომლობა" ჰოლანდიელებთან დროებითი ფედერალური მთავრობის შესაქმნელად, და განაცხადა, რომ ამ წერილის პირი, რომელიც შეიცავს მიმართვასა და წინადადებას მნიშვნელოვანი საფინანსო დახმარების შესახებ, პრეზიდენტ სუკარნოს გადაეცა ამერიკის გენერალური კონსულის ფუტის მეშვეობით ბატავიაში და ჰოლანდიის მთავრობას ჰააგაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მეშვეობით.

რეპრესიები დემოკრატიული პარტიების წინააღმდეგ იტალიაში

რომი, 29 ივნისი. (საკდესი). დე გასპერის მთავრობა კვლავ ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ოპოზიციის ჩახშობისა და მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებების შეზღუდვისაკენ. ეყრდნობა რა 1925 წლის ფაშისტურ კანონს (რომელიც 1944 წელს გააუქმა ბონომის მთავრობამ), შინაგან საქმეთა მინისტრმა შელბამ, როგორც გაზეთი „ავანტი" იუწყება, პოლიციას უბრძანა დააპატიმროს ის პირები, ვისაც ხელზე აქვს ნაბეჭდი მასალები, „რომლებიც შეურაცხჰყოფენ მთავრობისა და მისი მეთაურის ღირსებას".

სხვა ცირკულარით პოლიტიკურ პარტიებს აკრძალული აქვთ ისარგებლონ რადიოთი და დასდგან ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატები.

ამ ბრძანებათა შესასრულებლად პოლიცია უკანასკნელი დღეების განმავლობაში რომის ქუჩებში პატრულობს, ხევს პოზიციურ პლაკატებსა და ფურცლებს, სცემს და აპატიმრებს ყველას, ვინც აკრავს დაავრცელებს ახლანდელი მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ მასალებს.

26 ივნისს პოლიციამ რომში უკანონოდ გაჩხრიკა კომპარტიის ბორგო პიოს სექციის ბინა, ამასთან არ წარუდგენია მანდატი ჩხრეკის მოსახდენად, კონფისკაცია უყო პლაკატებსა და ფურცლებს, რომლებშიც გამოთქმული იყო უკმაყოფილება დე გასპერის მთავრობით.

გაზეთების ცნობით, დემოკრატიული პარტიების პროპაგანდისტული მასალების გავრცელებისათვის უკანასკნელ ორ დღეს რომში 70-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს. დაპატიმრებულნი ცენტრალურ საპყრობილე „რეჯინა ჩელიში" ჰყავთ.

ხუთი დემოკრატიული პარტიის (კომპარტიის, სოციალისტური პარტიის, რესპუბლიკური პარტიის, „მოქმედების პარტიის", „შრომის დემოკრატიის" პარტიის) რომის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა 28 ივნისს რომის პოლიციის უფროსს კოლექტიური პროტესტი განუცხადეს პოლიტიკური თვითნებობის წინააღმდეგ და მოითხოვეს დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

პროგრესული პრესა ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მაშინ, როცა კუნძულ სიცილიაზე ფაშისტი პროვოკატორები დაუსჯელად მოქმედებენ, პოლიციამ მთელი თავისი ღონისძიებანი წარმართა დე გასპერის მთავრობასადმი დემოკრატიული პარტიების კანონიერი ოპოზიციის ჩასახშობად.

ჰოლანდიის კომპარტიის კონფერენცია

ჰააგა, 29 ივნისი. (საკდესი). 27 ივნისს ამსტერდამში გაიხსნა ჰოლანდიის კომპარტიის კონფერენცია, რომელზეც ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა კომპარტიის გენერალურმა მდივანმა დე გროოტმა. მან დაახასიათა ჰოლანდიის მდგომარეობის უფრო და უფრო გაუარესება და წამოაყენა ამ ქვეყნის აღდგენის გეგმა.

საფინანსო გაკოტრებისა და ინფლაციის თავიდან ასაცილებლად, სთქვა დე გროოტმა, საჭიროა სასწრაფოდ გამოწვეულ იქნას ინდონეზიიდან ჰოლანდიის არმია და მკვეთრად შემცირდეს სამხედრო ხარჯები. ჩვენ დიდი ხანია ვაფრთხილებდით შრომის პარტიას, რომ ინდონეზიაში ჩვენი ჯარები გამოყენებული იქნებიან კოლონიზატორული მიზნებით. ჰოლანდიის ულტიმატუმი აღმაშფოთებლად ეწინააღმდეგება ინდონეზიასთან შეთანხმებათა აზრსა და სულს. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ რეაქციამ „პოლიცრავი" დაიწყოს ინდონეზიაში. ჰოლანდიის ყველა პროგრესული ელემენტი უნდა გაერთიანდეს ამ მძიმე ჟამს. ბეელის მთავრობის ნაცვლად ხელისუფლებას სათავეში უნდა ჩაუდგეს დემოკრატიული მთავრობა, რომელიც შესძლებს მშვიდობიანად ითანამშრომლოს ინდონეზიასთან და პროგრესის გზით წაიყვანოს ჩვენი ქვეყანა.

ბულგარეთის სააგენტოს ოფიციალური ცნობა

სოფია, 29 ივნისი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს შემდეგ ოფიციალურ კომუნიკეს.

ბულგარეთის ტერიტორიაზე საბერძნეთიდან უცნობი ეროვნების თვითმფრინავების უკანონო გადმოფრენათა გარდა, საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვარზე შემდეგი ინციდენტები მოხდა:

2 ივნისს, დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე, 20-30 ჯარისკაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა საბერძნეთის ტერიტორიიდან 50-80 მეტრის მანძილიდან სროლა აუტეხა ბულგარეთის სასაზღვრო საგუშაგოს ივაილოვგრადის ოლქის სოფელ სევეევის მახლობლად.

6 ივნისს ღამით, დაახლოებით 24 საათზე, 12 ბერძენმა ჯარისკაცმა, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ავტომატური იარაღით, გრანატებითა და ტყვიამფრქვევებით, იერიში მიიტანა მწყემს რამადან ჰუსეინ კეხაიოვის ფარეხზე, რომელიც ბულგარეთის ტერიტორიაზე იმყოფება სმოლიანის ოლქის ხუტორ ვარადში, და მას შემდეგ, რაც იგი გაძარცვა, საბერძნეთის ტერიტორიაზე დაბრუნდა № 120 სასაზღვრო ნიშნის მახლობლად.

11 ივნისს ღამით ბულგარეთის დროებით საგუშაგოს, რომელიც 6 კილომეტრზე იმყოფება დევინის ოლქის სოფელ ჩავდარციდან, სროლა აუტეხეს სამი გამაშუქებელი რაკეტის გასროლის შემდეგ. საგუშაგოს ჯარისკაცებმა სროლით უპასუხეს. უფრო გვიან სროლა აუტეხეს აგრეთვე ბულგარეთის სასაზღვრო საგუშაგოს, რომელიც კილომეტრნახევარზე იმყოფება ხსენებული დროებითი საგუშაგოს სამხრეთ-აღმოსავლეთით. თითქმის ამავე დროს სროლა იუტეხეს აგრეთვე ბულგარეთის სასაზღვრო საგუშაგოს, რომელიც 1.500 მეტრზე იმყოფება დევინის ოლქის სოფელ პეინოვის სამხრეთ-დასავლეთით. აქ ისროლეს ორი გრანატი, რომლებიც ბულგარელი ჯარისკაცების მიერ დაკავებული სანგრიდან რამდენიმე ნაბიჯზე გასკდა. სროლის შემდეგ, რამაც ერთ საათს გასტანა, თავდამსხმელებმა უკან დაიხიეს საბერძნეთის ტერიტორიაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოკავშირეთა საკონტროლო კომისიას აცნობა მომხდარი ინციდენტები და სთხოვა გაუწიოს დახმარება იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ასეთ პროვოკაციებს საბერძნეთის მხრივ.

ანტირესპუბლიკური შეთქმულების აღმოჩენა საფრანგეთში

პარიზი, 30 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის დასავლეთ ოლქებში აღმოაჩინეს დიდი პოლიტიკური შეთქმულება. ამას იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, მაგრამ საკმაოდ თავდაჭერილი ფორმით. შეთქმულების მიზანი, ამბობს სააგენტო, იყო „არსებული მთავრობის დამხობა და დირექტორიის დამყარება". ფრანს პრესის სააგენტო არ იხსენიებს ამ შეთქმულებაში ჩარეული პირების გვარებს, გარდა ერთისა — ყოველკვირეულ „ფრანს ეიენტის" დირექტორისა, ყოფილი ფრონტელების ერთ-ერთი საზოგადოების თავმჯდომარის ვულპენისა. გაზეთი „სე სუარი" დღეს იუწყება რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულების აღმოჩენის შესახებ და სწერს, რომ დაპატიმრებულია ჟანდარმერიის გენერალური ინსპექტორი გენერალი გიიოდო. შეთქმულებას მეთაურობდა ცნობილი ფაშისტი კაგულარი ლუსტანო-ლაკო, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული პეტენთან და დე გოლის უახლოეს მომხრეთა შორის იყო იმ პერიოდში, როდესაც დე გოლი მეთაურობდა ეროვნული განთავისუფლების კომიტეტს ლონდონში. ლუსტანო-ლაკო დაპატიმრებულია.

შეთქმულების გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ ჯერ ჩაეტარებინათ „ფსიქოლოგიური მომზადება", ჩაედინათ თავდასხმები და ეს დაებრალებინათ კომუნისტებისათვის. ამის შემდეგ განზრახული იყო სახელმწიფო გადატრიალების მოხდენა და დიქტატურის დამყარება. შეთქმულები აპირებდნენ შრომის საყოველთაო კონფედერაციის, „საფრანგეთის ქრისტიანულ მშრომელთა კონფედერაციის", კომუნისტური პარტიისა და სხვა პროგრესული ორგანიზაციების დაშლას, გაფიცვების აკრძალვას სიკვდილით დასჯის მუქარით და სხვა.

პარიზი, 30 ივნისი. (საკდესი). პარიზის რადიო გადმოგვცემს, რომ აღმოჩენილ შეთქმულებაში ჩარეული არიან ყოფილი ოფიცრები და პეტენის მეგობრები, მათ შორის სამხედრო და სამოქალაქო პირები. აღმოჩენილ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია იმ მოქმედების გეგმები, რაც პარიზში უნდა მომხდარიყო ამ თვეში. ამ მოქმედების სტრატეგიულ პუნქტთა შორის დასახელებულია ფრენის საპატიმრო, სადაც დაპატიმრებული კოლაბორაციონისტები იმყოფებიან.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება საფრანგეთში ანტირესპუბლიკური შეთქმულების აღმოჩენის შესახებ

პარიზი, 30 ივნისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპრემ პრეს-კონფერენციაზე განცხადება გააკეთა საფრანგეთში ანტირესპუბლიკური შეთქმულების აღმოჩენის გამო.

უკვე 1946 წლის დამლევს, — სთქვა დეპრემ, — ჩვენ ვიცოდით, რომ არსებობდა „შავი მაკი" (რეაქციული არალეგალური მოძრაობა—რედ.), რომელშიც მონაწილეობდნენ უკიდურესი მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლები, ვიშისტები, მონარქისტები და გერმანელთა ყოფილი თანამშრომლები. მათი მიზანი იყო რესპუბლიკის მთავრობის დამხობა და მისი შეცვლა „დროებითი სამხედრო დირექტორიის" რეჟიმით. 1947 წლის მარტში ჩვენ შევიტყვეთ, რომ „შავ მაკის" აქვს თავდასხმის გეგმა, ეგრეთწოდებული „ცისფერი გეგმა". ეს თავდასხმა უნდა დაწყებულიყო ან ივლისის დამლევს, ან აგვისტოში. შეთქმულებს თავიანთი ოპერაციები უნდა დაეწყოთ ქალაქ ვანში საპყრობილის დაკავებით იმისათვის, რომ გაეთავისუფლებინათ „შავი მაკის" ყოფილი ხელმძღვანელი კრეტი, რომელიც საპყრობილეშია მოთავსებული. ამ ოპერაციას სიგნალი უნდა მიეცა სამოქალაქო ომის დაწყებისათვის. თავდასხმის გეგმა ითვალისწინებდა, რომ „აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მოსული ნაწილები" გარს უნდა შემორტყმოდნენ პარიზს. თავიანთი მიზნების მისაღწევად შეთქმულნი იმედს ამყარებდნენ გერმანიის ოკუპაციის ფრანგულ ზონაში მყოფ ჯავშანსატანკო ნაწილებზე.

დეპრემ მოიხსენია პოლიციის მიერ ამ ბოლო დროს ჩატარებული ოპერაციები და განაცხადა, რომ დე ვულპიანის ციხედარბაზში მომხდარი ჩხრეკის დროს პოლიციამ აღმოაჩინა საბრძოლო ბრძანებები, საბრძოლო გეგმები და „კონსტიტუციური აქტები", რომლებიც არსებითად და ფორმით ძალიან მოგვაგონებენ ვიშის მთავრობის კონსტიტუციურ აქტებს. აღმოჩნდა აგრეთვე აფიშები, საიდუმლო ინსტრუქციები და „მოსახლეობისადმი მიმართვა". როგორც დეპრემ აღნიშნა, დე ვულპიანმა დაკითხვისას განაცხადა, რომ შეთქმულებს განზრახვა ჰქონდათ ისე მოეჩვენებინათ ხალხისათვის, თითქოს „კომუნისტური პუტჩი" მოხდა, ან ისეთი შთაბეჭდილება მაინც შეექმნათ, რომ ეს პუტჩი გარდუვალი იყო. შეთქმულებს მიცემული ჰქონდათ ინსტრუქციები — შეედგინათ პიროვნებათა სია, დაეგზავნათ მათთვის ღია ბარათები „ნამგლისა და უროს" გამოხატულებით და ამ ბარათებში ეცნობებინათ, რომ კომუნისტურმა პარტიამ მათ სიკვდილი მიუსაჯა და რომ მათი დასჯა მოახლოებულია; საჯარო ადგილებში გაეფანტათ ყალბი ფურცლები, რომლებიც ვითომც კომუნისტური პარტიის აჯანყების სიგნალი უნდა ყოფილიყო: თავს დასხმოდნენ ბანკებს, გაეძარცვათ ფერმები და დაეჯერებინათ საზოგადოებრივი აზრი, რომ ყოველივე ეს საფრანგეთში ძალადობის რეჟიმის დამყარებისათვის მზადებას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში, სთქვა დეპრემ, თვით შეთქმულთა პირდაპირი მოქმედება ისეთი კონტრმოძრაობის ხასიათს მიიღებდა, რომლის მიზანიც იქნებოდა წესრიგის დამყარება.

დაკითხვის დროს, დასძინა დეპრემ, დე ვულპიანმა ფორმალურად დაადასტურა, რომ შეთქმულებაში გარეულია ჟანდარმერიის ინსპექტორი გიიოდო, რომელსაც დაკითხვისას მისთვის წაყენებული ფაქტები არ უარუყვია, და იგი საპყრობილეში მოათავსეს. პარიზში მომხდარმა ჩხრეკამ, განაგრძო დეპრემ, შესაძლებლობა მოგვცა ვინმე ქალბატონ დე ვალეფთან აღმოგვეჩინა დოკუმენტები, რომლებიც შეეხება ბრეტანში მყოფ ჯავშანსატანკო დივიზიას. მაიორი ლუსტანო-ლაკო და ვინმე ჟაკო — ლეინის ვაჟარი მონტინი ლე-რუადან, რომლებსაც ბრალი ედებათ შეიარაღებულ თავდასხმაში, დაპატიმრებულ იქნენ.

დასასრულ შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს „ბოლომდე მიიყვანოს საქმე, ვინც უნდა იყვნენ ამ საქმეში გარეული პირები".

ინგლისმა კრედიტი მისცა უნგრეთს

ლონდონი, 28 ივნისი. (საკდესი). 26 ივნისს ინგლისის თემთა პალატაში ფინანსთა სამინისტროს საფინანსო მდივანმა გლენველ ჰოლმა განაცხადა, რომ საექსპორტო კრედიტების გარანტიის დეპარტამენტი დათანხმდა მიეცეს უნგრეთს 500 ათასი გირვანქა სტერლინგი კრედიტი ინგლის-უნგრეთის ვაჭრობის გასაფართოებლად.

საქართველოს პიონერთა რესპუბლიკურ შეკრებაზე გორში. დამსახურებული მასწავლებელი ამხ. გ. გლურჯიძე პიონერთა შეკრების მონაწილეებს ესაუბრება ბელადის ბავშვობისა და მოწაფეობის შესახებ.

ფოტო რ. აკოფოვისა

ქ ე ც ა

ახალი საცხოვრებელი სახლი

რაიონის ცენტრში დამთავრდა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. სახლი ოცბინიანია.

ჰიდროელსადგურები სოფლად

სოფლებში ვარჯანისსა და ცხმორისში კოლმეურნეებმა დაამთავრეს საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურების აგება.

ნამონასტრევში, ზვარეში, ბზუბზუსა და სხვა სოფლებში ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობა ამ ზაფხულს დამთავრდება.

კონცერტები კოლმეურნეობებში

ნაყოფიერად მუშაობენ რაიონულ კულტსახლთან არსებული მომღერალმოცეკვავეთა გუნდები ნ. ჯიბლაძისა და გ. ნოღაიდელის ხელმძღვანელობით. უკანასკნელ 4 თვეში მათ ყველა კოლმეურნეობაში მოაწყეს კონცერტი.

აგურ-კრამიტის ქარხანა

ადგილობრივი მრეწველობის რაიონული კომბინატი სოფელ პირველ მაისში ამთავრებს აგურ-კრამიტის ქარხნის მშენებლობას. წელს, სექტემბრის ბოლოს, ქარხანა გამოუშვებს პირველ პროდუქციას.

„თერთმეტი უცნობი"
მუსიკალური კომედიის თეატრის ახალი სპექტაკლი

30 ივნისს თბილისის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა პრემიერა — ნ. ბოგოსლოვსკის მუსიკალური კომედია „თერთმეტი უცნობი". სპექტაკლი დადგა სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ახალგაზრდა რეჟისორმა გ. გელოვანმა. ეს მისი სადიპლომო ნამუშევარია. სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ი. ასკურავას და რ. ჯავრიშვილს, ცეკვები დასდგა დ. მაჭავარიანმა.

მთავარ როლებს ასრულებდნენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ე. ციმაკურიძე და ბ. ჩეჩელაშვილი, მსახიობები: ქ. კობახიძე, ე. ჩოხელი, ა. ყუფუნია, დ. ესებუა, ა. მეწურიშვილი და ნ. მოსეშვილი.

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა ნ. ინწკირველის ნაშრომი „საბუღალტრო აღრიცხვის თეორიის კურსი". წიგნს, რომლის რედაქტორია შ. გოგებაშვილი, დართული აქვს საბუღალტრო აღრიცხვის ლიტერატურა ქართულ ენაზე. ნაშრომი შეიცავს 304 გვერდს და ღირს 35 მანეთი.

მომღერალთა გუნდები სკოლებში

ქალაქ თბილისის სკოლებში ახალი სასწავლო წლისათვის შეიქმნება 90 მომღერალთა გუნდი. 10 გუნდი ჩამოყალიბდება თბილისის ბერიას რაიონის სკოლებში, 15 — ორჯონიკიძის რაიონში, 12 — სტალინის რაიონში, 12 — ლენინის რაიონში. მომღერალთა გუნდები შეიქმნება აგრეთვე მოლოტოვის, 26 კომისრის სახელობისა და კიროვის რაიონებში.

სპორტის ამბები

ფეხბურთი

29 ივნისს მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე შესდგა ფეხბურთში სსრ კავშირის 1947 წლის პირველობის გათამაშების პირველი წრის მატჩი მოსკოვისა და თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. მატჩი დამთავრდა 3:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

28 ივნისს ლენინგრადში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოს" და მოსკოვის სამხედრო საჰაერო ძალთა გუნდები. მატჩი მოიგეს ლენინგრადელებმა ანგარიშით — 2:1.

30 ივნისს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის გუნდი „ტორპედო" და მინსკის „დინამო". შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ჭადრაკი

დამთავრდა შეჯიბრება საქართველოს 12 უძლიერეს მოჭადრაკე ქალს შორის რესპუბლიკის 1947 წლის პირველობაზე, რაც ორ კვირას გრძელდებოდა.

მოჭადრაკეებმა ლ. გოლოვანმა და ქ. ხენკოვამ გოგიავამ ტურნირი თანაბარი სიძლიერით ჩაატარეს, მოაგროვეს 8½ ქულა 11 შესაძლებლიდან და გამოვიდნენ პირველ-მეორე ადგილზე. მესამე ადგილი დაიკავა ფ. კაცმა, რომელმაც მოაგროვა 8 ქულა, მეოთხე ადგილი — ნ. მეგროვამ (7 ქულა). განსაკუთრებულ წარმატებას უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა მოჭადრაკის ლ. წეროძის შედეგი. იგი მეხუთე ადგილზე გამოვიდა და უკან ჩამოიტოვა ისეთი გამოცდილი მოჭადრაკეები, როგორიც არიან ზარგარიანი, შოშიშვილი და აბრამიშვილი.

კალათბურთი

ჩატარდა შეჯიბრება კალათბურთში თბილისის პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ქალაქის 30-მდე უძლიერესმა გუნდმა.

ვაჟთა გუნდებს შორის პირველი ადგილი და ამავე დროს თბილისის 1947 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა სსრ კავშირის 1946 წლის ჩემპიონმა — თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა. მეორე ადგილი დაიკავა საქართველოს 1946 წლის ჩემპიონმა — თბილისის „დინამომ", მესამე ადგილი — „ლოკომოტივმა".

ქალთა გუნდებს შორის გაიმარჯვეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელებმა.

კ ი ნ ო ე ბ შ ი

2 ივლისს: რუსთაველის სახელობის და „ოქტომბერი" — „ძველებური ვოდევილი"; „ამირანი" (საზაფხულო და ზამთრის) — „უფროთ ადამიანები"; „კომკავშირელი" (საზაფხულო) — „მუსიკალური ისტორია", (ზამთრის) — „რაიკომის მდივანი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა
2 ივლისს

რადიოსადგურით 1154 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

9.15 — ლიტერატურული გადაცემა. ნაწყვეტი გრ. ჩიქოვანის მოთხრობიდან „სიკვდილი თხრილში".

რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

17.20 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის რუსულ ენაზე. 18.20 — კონცერტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ბათუ კრავეიშვილის შესრულებით. 19.15 — საქართველოს რადიოკომიტეტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. დირიჟორი მ. ძიძიშვილი. პროგრამაშია შუბერტის სიმფონია. 20.15 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის ხალხური სიმღერების ანსამბლის შესრულებით ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მეგრელიძის ხელმძღვანელობით. 20.25 — დოცენტ ჩახვაშვილის საუბარი თემაზე: „1917 წლის ივლისის დემონსტრაციის 30 წლისთავი". 21.05 — ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 21.20 — ლიტერატურული გადაცემა. ნაწყვეტი მიხეილ შოლოხოვის რომანიდან „ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის". 23.00 — რუსული კამერული მუსიკის კონცერტი, ასრულებენ საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტი ვერა გალანოვა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სიმებიანი ტრიო.

სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროს საბჭოთა ვაჭრობის საკავშირო დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი აცხადებს, რომ 1947-48 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე: საქონელმცოდნეობის, სააღრიცხვო-ეკონომიურ და სავაჭრო-ეკონომიურზე, ქართულ და რუსულ სექტორებზე.

სააღრიცხვო და სავაჭრო ეკონომიურ ფაკულტეტებს აქვთ კოოპერაციული განყოფილებაც. თბილისში მცხოვრები სტუდენტებისათვის კვირაში სამჯერ საღამოობით ეწყობა ლექციები, ხოლო რაიონში მცხოვრები სტუდენტებისათვის ეწყობა წელიწადში ერთხელ 20 დღიანი საზაფხულო ლაბორატორიული საგამოცდო სესია ქ. თბილისში.

ინსტიტუტი ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს სახელმწიფო და კოოპერაციული სავაჭრო სისტემისათვის.

ინსტიტუტი კურსდამთავრებულთ ანიჭებს იმავე უფლებებს, რასაც სტაციონარული უმაღლესი სასწავლებელი.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირნი, რომელთაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით, და სამამულო ომის მონაწილენი, რომელთაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ფრიადოსნობის ატესტატით. ყველა დანარჩენი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული აბარებს მისაღებ გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი), სსრკ ხალხთა ისტორიასა და გეოგრაფიაში, ხოლო საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე — ისტორიისა და გეოგრაფიის ნაცვლად ფიზიკასა და ქიმიაში.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ატესტატი (დედანი), ავტობიოგრაფია, [illegible]

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგურამოს ვეტერინარული ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას. განცხადებების მიღება ა. წ. 1 აგვისტომდე. ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის ვეტერინარ-ფერშლებსა და მეფუტკრეებს. სწავლის ხანგრძლივობა ორივე პროფილზე სამი წელია. განცხადებას თან უნდა დაერთოს: 1. მოწმობა არასრული საშუალო სკოლის 7 ან 8 კლასის დამთავრების შესახებ (დედანი), 2. მეტრიკული ამონაწერი (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ, 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ სამკურნალო დაწესებულებიდან და 3 ფოტოსურათი. პასპორტი წარმოდგენილ უნდა იქნას გამოცხადებისას. გამოცდები იწარმოება [illegible]

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ხელოვნების ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (ცეცხოველის ქ. № 10) არა უგვიანეს 10 დღისა ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

განცხადებას თან უნდა დაერთოს: 1) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2) ავტობიოგრაფია, 3) ასლი უმაღლესი სასწავლებლის დიპლომისა, 4) დოკუმენტები, სამეცნიერო [illegible]

ტირაჟი 110,000 უე 02911